

საქართველო

საქართველო
ეროვნული
ნიშნით

საორთული გაზეთი

შაბათი 20 მარტი 2004 №62 (2081)

ფასი 50 თეთრი

არაპირობრი ჩხთა ჩხვა. თაბაში!

დღეს, 16 საათზე, ბორჯღალოსნები ჩეხებს „ეროვნულზე“ დაუხვდებიან. საქართველოს გადახალისებულ ნაკრებს წლეულს უკვე დაუგროვდა ასეთ მეტოქეებთან ვერმოგების გამოცდილება. მაგრამ მწვრთნელ-მთამაშეები გვამშვიდებენ, ამდენი ექსპერიმენტის შემდეგ ჩვენი ნაკრები გუნდად ჩამოყალიბდა და შარშან პრალაში 30:15 ძლეული მეტოქის ახლაც ძლევა მით უმეტეს არ გავვიჩინებთ. ასევე გვპირდებიან, ჩეხებთან მატჩი ჩეხვა არ იქნება, მუდამ შერკინებით მიმწოლები ბურთსაც გემოზე გავათამაშებთო. რამდენად თამამად შეუტევეს თითქმის მთლიანად ახალბედებით დაკომპლექტებული უკანა ხაზი, ამას თამაში გამოაჩენს.

ამ უქმეებზევე, ტრადიციულად, სანაკრებო რაგბი ხურს ბებერ კონტინენტზე. ამ ერთა თასზე ჩვენი ბოლო მეტოქე რუმინეთი კრასნოდარში რუსებს მეხუთედ მიუხდება და მეხუთედვე ძლევას დაუპირებს. მაჩანჩალა ესპანეთი კი მეზობელ პორტუგალიას კურორტ იბიცაში მასპინძლობს.

ხოლო დიდ ევროპულ ქვეყნებში დიდი რაგბი დულს. დღეს-ხვალ ექვსი ერის მეოთხე ტურია.



საქართველოს გადახალისებული ნაკრები სარბიელზე გამოდის

ნინო ლაშაშაძე ფოტო



НАФ ДА
МОСКВА
ეს საქმე თუ
გაეოვიდა,
უეიქლეგა,
ლოკომოტივის
გაიგადროს

დარასელიას მოსარჩენად დუგლი გამოუნერგეს



დარასელიას „ალანური“ დებიუტი ჭიანჭურდება. ვიტალიმ გუშინ „ტორპედოს“ დუბლშემადგენლობასთან ითამაშა, რისი მიზეზიც ის ვირუსი იყო, რომელმაც იგი ვარჯიშებს 4 დღე ჩამოაცილა და, როგორც თავად ფეხბურთელი ამბობს, ძლიერ დაასუსტა. მიუხედავად ამისა ვიტალიმ „ალანის“ მეორე გუნდში ორი საგოლე პასი მინივ გაახერხა და „ტორპედოს“ 3:1 დამარცხებაში თავისი წილი დაიღო.

— ვარჯიში სულ ორი დღეა, დავიწყე, მაგრამ ვგრძნობ, რომ ვირუსმა ძალიან დამასუსტა. ვარჯიშის შემდეგ აბსოლუტურად უენერგიოდ ვარ. ხუმრობა ხომ არ არის, ოთხი კილო დავიკელი, ვგრძნობ — ჯანი აშკარად წამერთვა.

— როგორ გგონია, ფორმას როდის აღიდგენ?

— ფორმის აღსადგენად კურბისმა მე და ძირითადის კიდევ ორ ფეხბურთელს, კასიმოვს და სარქისიანს გვირჩია, მეორე გუნდის

შემადგენლობაში „ტორპედოს“ წინააღმდეგ გვეთამაშა. მეც მგონია, რომ ახლა ჩემთვის ასე აჯობებს.

— ნაავადმყოფარს „ტორპედოსთან“ თამაში არ გაგიჭირდა?

— არა. ისეთი დანატრებული ვარ თამაშს, რომ მოედანზე სრული საბრძოლო განწყობით გავედი. თანაც ვიცოდი, რომ შეხვედრას კურბისივ დაესწრებოდა.

— როგორ წავივიდა თამაში?

— მოედანზე გასვლის წინ მი-თხრეს, მარცხენა ფლანგზე ითამაშებო... კინაღამ გული გამისკდა. რა მინდა მარცხნივ?!

— უკმაყოფილო ხარ შენი თამაშით?

— მარცხნივ უნარის ნახევარს ვავლენ. მართალია, ორი საგოლე პასი გავაკეთე, მაგრამ ეს მაშინ მოხდა, როდესაც ცენტრში შევიწიე. ჩემს ადგილზე რომ მეთამაშა, მეც გავიტანდი. ვგრძნობ, ჩემს ოპტიმალურ ფორმამდე ბევრი არ მიკლია.

— ბოლომდე ითამაშე?

— 70-ე წუთზე შემცვალეს.

— დაღლის გამო?

— არა, უბრალოდ, თამაშის ბედი გადაწყვეტილი იყო. ჩემი გასვლის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა.

— კურბისი ძირითადში თამაშს როდის გაპირდება?

— ცოტაც მოიცადეო, მეუბნება. ასეთი ვირუსის შემდეგ ძირითადში როგორ დამაყენებდა?! კურბისის ყურადღება მაფიქრებინებს, რომ ვჭირდება, მასთან ნაღდად ნორმალური ურთიერთობა მაქვს და ჩემი იმედი რომ არ ჰქონდეს, მეტყვოდა.

დავით მრამბე

სკნელი ქვე და უკანა

საქართველოს ნაკრები ყველანაირად „ცდილობს“, მეორე ასეულში მოხვდეს, მაგრამ დღემდე არ გამოხდის. საამისო შანსი ჩვენებს 30 მარტსაც აქვთ — გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში ჩვეული შედეგი და...

ერთი სიტყვით, კვიპროსული სირცხვილის შემდეგ საქართველომ ოთხი საფეხურით ჩანაცვლა და ახლა 98-ეა. ჩვენი ჯგუფიდან საქართველო მხოლოდ ყაზახეთს უსწრებს, რომელიც 136-ე ადგილზეა. ორი-სამი ნაბიჯით წაიწიეს საბერძნეთმა (+3) და ალბანეთმა (+2).

მთავარ ათეულში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. საინტერესო მხოლოდ ისაა, რომ ათეულს გერმანია დაუბრუნდა, თებერვალში მეთორმეტე რომ იყო.

სამეული კი უცვლელია — ბრაზილია, საფრანგეთი და ესპანეთი.



1	1	ბრაზილია	842	15	15	ირლანდია	705
2	2	საფრანგეთი	826	16	16	ბელგია	688
3	3	ესპანეთი	791	17	17	პორტუგალია	676
4	4	პოლანდია	747	18	18	კოსტა რიკა	674
5	5	მექსიკა	740	19	21	ნიგერია	672
6	8	ჩეხეთი	735	20	20	შვედეთი	669
6	7	ინგლისი	735				
6	6	არგენტინა	735	33	36	საბერძნეთი	643
				63	63	უკრაინა	539
9	9	თურქეთი	733				
10	12	გერმანია	729	88	90	ალბანეთი	482
11	10	იტალია	726				
12	11	აშშ	725	98	94	საქართველო	463
13	13	კამერუნი	718				
14	14	დანია	711	136	135	ყაზახეთი	333

I - გრანფა - ადგილი; II - ადგილი წინა თვეში; III - ქვეყანა; IV - ქელა

საქართველოს **15** ჩემპიონატი **1** ტურში
შეჯიჯი **ლიგა** **ჯგაჯი**



გოლი ჩანს და კაცი არა... მცხეთელთაგან გოლის გამტან თოდუას ფოთელი წურჭუშია (№19) ეფარება

ოღრო-ოღრო, ოკრო-ბოკრო, აღარ მიხდა თამაში

დავით მრამბე მცხეთიდან

„არამაზე“ ბურთის ხეირიანად გორება ჭირს და ფეხბურთიც მძიმე და უსიამო სახანავი გამოდის, მაგრამ გუშინ ორივე გუნდმა მოინდომა და მომენტებიც საკმაო შეიქმნა. დებიუტი ფოთელების იყო. მასპინძლები ნერვიულობდნენ და ბევრს ცდებოდნენ. მე-4 წუთზე შალამბერიძემ სახიფათოდ გაისროლა, თუმცა ცინაძეს ვერ აჯობა. ხუთ წუთში კოლხებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, კალანდაძემ ქუთათელაძე გაიყვანა მეკარესთან პირისპირ. ამჯერადაც ცინაძემ იმარჯვა: კარიდან გამოვიდა და ფორვარდს სივრცე შეუზღო. მე-15 წუთზე ქუთათელაძე ისევ მეკარესთან პირისპირ დარჩა, ბურთს ფეხივ ისე წაჰკრა, რომ კარში უნდა შეგორებულიყო, მაგრამ თავად იგი კარის ხაზთან გააჩერა. მცხეთელები მე-20 წუთიდან გამოფხიზლდნენ და ორი სახიფათო მომენტიც შექმნეს. ჩხაიძის თავური კარს სანტიმეტრებით ასცდა, მერე კი ქებაზე ფლანგზე გაიქცა, ფოთელთა საჯარიმოშიც შეიჭრა და არც პასი დაახანა, რომელსაც თოდუამ უძლიერესი დარტყმა დაურთო. ბათიაშვილი უძღური იყო. თოდუამ ის დაახლოებით შვიდი მეტრიდან დაცხრილა.

მცხეთა. 19 მარტი. 15 საათი. ბრმბზი. 300 (ტეფალობა 2 000)

მცხეთა 1:1 კოლხეთი

წითელი (40), ზე აკობია (57)

მცხეთა: ცინაძე, მგელაძე, ჯაფარიძე, ჩაჩუა, გვარუციაძე, კახიანიშვილი (ჯ. ქუთათელაძე 80), თირქია (ავალიანი 64), ლ. ქებაძე, პარამონოვი (ხორავა 60), ლ. ჩხაიძე, გ. თოდუა, სათადარიგო: თ. ოდიკაძე; თ. რაქვიაშვილი, პ. ნოზაძე, ბ. ნოზაძე
 მწვრთნელი: ჯანო ფოფხაძე

კოლხეთი: ბათიაშვილი, ქუტიძე (კრასოვსკი 85), შ. ლონდაძე, აკობია, ნურნუშია, კალანდაძე (ლ. ხურცილაძე 33; ჭითანავა 59), ჯ. შალამბერიძე, ლაღანიძე, ე. მარგალიტაძე, გაბედავა, ზ. ქუთათელაძე, სათადარიგო: ჩემია; მ. თაყაძე, კუნჭულია
 მწვრთნელი: დავით მახარაძე

გაზრთისნილები: ლონდაძე (56), მგელაძე (83)

მსაჯენი: ა. შილაკაძე (თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედიო), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი), გ. ასკაროლი (ქარელი)

სფზ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე

მეორე ტაიმიც ზღვისპირელთა უპირატესობით დაიწყო, თუმცა ისინი მხოლოდ ბურთის ფლობის ხანგრძლივობით სჯობდნენ მეტოქეს, თორემ სახიფათო მომენტები არც ერთ კართან არ იქმნებოდა.

57-ე წუთზე „კოლხეთმა“ ჯარიმა მოინადირა. შალამბერიძემ მეკარის საჯარიმოში უმეტესად ყურადღარჩენილი აკობია მონახა და მანაც სამი მეტრიდან თავურით ანგარიში გაათანაბრა. უნდა აღინიშნოს, რომ ფოთელების ყველა სა-

ჯარიმოს შალამბერიძე ურტყამდა და ძალიანაც მარჯვედ. ერთი ასეთი ჯარიმისას ჯონიმ ბურთი უცნაური ტრაექტორიით დააბზრიალა, ცინაძე გამოსვლაზე შეცდა, ბურთი ხელიდან გაუვარდა, თუმცა აკობიას მეორედ გოლის გატანა არ ეწერა, ბურთს კარისკენ მიმავალ გზაზე მცველები გადაელობნენ.

შეხვედრის ბოლო სახიფათო მომენტი კი მასპინძლებმა შექმნეს თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე. ხორავას ახლოდან თავური ბათიაშვილმა კუთხურზე მოიგერია.

ფახპროტი

„შეჯიჯის“ სტადიონი
პირველი ლიგა
21 მარტი
 მერვიდმეტე ტური
აგერი — ხხინგალი
 თბილისი ცხინვალი

დასაწყისი 15 საათზე. დასრულება უფასოა

საქართველოს
ფეხბურთის
ფედერაცია

15
წელია

ჩემპიონატი
ლიგა
კაპანი

1 ტურში

შედეგები

ნატლები გოლი და იქსები - მეკუშე ხალხი ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს მაინცდამაინც არ აგემოვნებს, თორემ ეს ტური დიდ გარჩევებს გამოიწვევდა. დანარჩენზე კი ალბათ იმ გუნდებმა უნდა იჭმუნონ, გოლის გატანა რომ ვერ მოახერხეს

თბილისი 0:0 დილა
ვიბ ჯორჯია 0:0 სიონი
დინამო 0:0 ლოკომოტივი
ბორჯალო 1:0 მარცხალი
მცხეთა 1:1 კოლხეთი



სამი და რამე

სამი ერთობ სიმბოლური ციფრია და რას არ დაუკავშირებ მას. სამი საფეხბურთო ენაზეცაა მორგებული — სამი მცველი, სამი გოლი, სამი ნომერი... ვინძლო, ასეთ სამეფო ლაპარაკობდნენ ალენ ჟირესი და რევაზ არველაძე, ვინც ამ დღეებში ფრანგს მეგზურობას უწევს. „ბონჟურ“, „მერსი“, „ო რევეა“ — გამარჯობათ, გმადლობთ, ნახვამდის — ამ სამი სიტყვის კომბინაცია კი არც ერთ მწვრთნელს არ უხარია...

„ვიტ ჯორჯია“ — „სიონის“ მატჩს 600-მდე მოსიერი ჰყავდა. ამითი აქტიური შემახილებით განსაკუთრებით ტრიბუნის მარჯვენა ნახევარზე მოკალათებული ვეგუფი გამოირჩეოდა. იოლი მისახვედრი იყო, ბოლნისელები იყვნენ, მათგან კი ყველაზე მეტ ყურადღებას ერთი კაცი იქცევდა. საფირმო ქუდიანი და გასაკვირად მშვიდი ზურაბ ჯაფარიძე მზესუმზირის კენჭით ირთობდა თავს და მშობლიურ „სიონს“ ისე ქომაგობდა. ბოლნისის ყოფილი გამგებელი და კლუბის ექსპრეზიდენტი ისევ გუნდთანაა. ჯაფარიძის ნაჯაფარი და შეილივით მოკლილი „სიონი“ კი დღესაც ბევრისთვის გაუტეხელი და უხერხული მეტოქეა. აკი გუშინწინ საჩემპიონოდ შემართულ „ვიტ ჯორჯიასაც“ ოქროსფერი ქულები დააკარგვინა.

სიყვარულმა ექსი არ იცის ჯაფარიძემ უბილი მოიპოვებდა




ზურაბ ჯაფარიძე

გუნდი	აღმავალი	სიმბოლური ნაპრქები
გიორგი ადამია	ვიტ ჯორჯია	
თორნიკე აფციაური	თბილისი	
გორა სოჯავა	თბილისი	დავით დიდგელაშვილი
დავით დიდგელაშვილი	ვიტ ჯორჯია	რაზვ სვანაძე
რაზვ სვანაძე	ლოკომოტივი	გაბა ჩიტაია
გაბა ჩიტაია	დილა	
გიორგი პალაშვილი	დილა	ლაშა სალუქვაძე
ლაშა სალუქვაძე	ლოკომოტივი	ირაკლი ვაშაძე
ირაკლი ვაშაძე	ლოკომოტივი	დავით შიშვიანი
დავით შიშვიანი	სიონი	
გუნდი: ლოკომოტივი	ზურაბ მამალაძე	მწვრთნელი: ზაურ სვანაძე
ლოკომოტივი		ლოკომოტივი


№ გუნდები	I-VI ადგილები					სულ					შინ					სტუმრად						
	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	
1 დინამო	1	0	1	0	0:0	0	26	1	0	1	0	0:0	0	1	0	0	0	0	0	0:0	0	0
2 ვიბ ჯორჯია	1	0	1	0	0:0	0	22	1	0	1	0	0:0	0	1	0	0	0	0	0:0	0	0	0
3 სიონი	1	0	1	0	0:0	0	21	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	1	0	0:0	0	1	
4 თბილისი	1	0	1	0	0:0	0	19	1	0	1	0	0:0	0	1	0	0	0	0:0	0	0	0	
5 დილა	1	0	1	0	0:0	0	18	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	1	0	0:0	0	1	
6 ლოკომოტივი	1	0	1	0	0:0	0	18	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	1	0	0:0	0	1	

№ გუნდები	VII-XII ადგილები					სულ					შინ					სტუმრად					
	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
7 ბორჯალო	1	1	0	0	1:0	1	20	1	1	0	0	1:0	1	3	0	0	0	0	0:0	0	0
8 ბათუმი	0	0	0	0	0:0	0	16	0	0	0	0	0:0	0	0	0	0	0	0	0:0	0	0
9 კოლხეთი	1	0	1	0	1:1	0	13	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	1	0	1:1	0	1
10 მცხეთა	1	0	1	0	1:1	0	11	1	0	1	0	1:1	0	1	0	0	0	0	0:0	0	0
11 სპარტაკი	0	0	0	0	0:0	0	8	0	0	0	0	0:0	0	0	0	0	0	0	0:0	0	0
12 მარცხალი	1	0	0	1	0:1	-1	5	0	0	0	0	0:0	0	0	1	0	0	1	0:1	-1	0



„დინამო“ — „ლოკომოტივი“. სანდრო იაშვილი (№20) და ირაკლი ვაშაძე: უგოლო თამაშის გულიანი ბრძოლა

ვისაც უშუაგი ულოცავს



ზაურ სვანაძის მიერ შეკონცეპტულ „ლოკომოტივს“ ივო შუშაკის „დინამომ“ შინ ძვრა ვერ უყო. ხორვატმა მწვრთნელმა რკინიგზელთა თავკაცს ისლა უთხრა, ქულა მომილოცნიაო, არადა, ერთი-ორჯერ „დინამოც“ გადაურჩა „ლოკომოტივს“ — სვანაძემ გუნდი სწორად ათამაშა და ნულოვანი ფრეც ყველაზე უფრო ამის ბრალი იყო. მწვრთნელისთვის ფრის მილოცვა კი ევროპაში ხდება ხოლმე, ხოლო ჩვენთან პიონერობა შუშაკმა იკისრა სვანაძესთან.


ყანაა?!

ამ ბოლო ხანს ერთობ დატვირთული მცხეთის „არმაზი“ ფეხბურთელთა ჯანმრთელობისთვის სახიფათო ხდება. 18 მარტს ამ „მინდორზე“ ვიტჯორჯიელი კუპრიშვილი დაშავდა, თუმცა ეს კიდევ არაფერია იმასთან, რაც „მცხეთა“ — „კოლხეთის“ მატჩისას მოხდა. ფოთელებს ერთბაშად 3 ფეხბურთელი დაუშავდათ. კალანდაძე, სურცილაძე და ქეტიძე შესაცვლელნი რომ შეიქნენ, „არმაზის“ ოდრო-ჩოდროების ბრალიც იყო. ჯონი შალამბერიძეს კი „პაქატის“ გაკეთებისას ძალიან გაუმართლა, რომ ზემოთ ჩამოვლელ ფეხბურთელებს არ შეუერთდა.



კვიციანი კვარზე ხტის

ეროვნულ ჩემპიონატში ახალი მსაჯი გამოჩნდა. სერგო კვარაცხელიას ვაჟი, ლევანი მამის ხელობას გაჰყვა და გუშინწინ უმაღლესლიგური დებიუტც მოიწყო. უმცროსმა კვარაცხელიამ ისე განსაჯა „ტორპედო“ — „მერცხალი“, რომ მსაჯთა შეფ ანატოლი მილჩენკოსგან „მაღაღეცი“ დაიმსახურა.




მეორე ტური

26 მარტი, პარასკევი
I-VI ადგილები
დილა — ლოკომოტივი
სიონი — დინამო
თბილისი — ვიტ ჯორჯია
VII-XII ადგილები
მერცხალი — კოლხეთი
ტორპედო — ბათუმი
სპარტაკი — მცხეთა

გუნდი	მწვრთნელი
15 - გონფაროვი	სიონი
14 - გოციშიძე	ვიტ ჯორჯია
13 - ლაშვილი	თბილისი/ტორპედო
10 - პაპალაძე	ბათუმი/დინამო
9 - შიშვიანი	თბილისი
7 - ვ. გონფაროვი	ვიტ ჯორჯია
გაბაძე	მერცხალი/კოლხეთი
იაშვილი	დინამო

პერ ბაპატიუბო, რიო! საბაულა ფარდინანდს რვა თვე დაუბოვია

რიო ფერდინანდის რვათვიანი დისკვალიფიკაცია ძალაში დარჩა. ფეხბურთის ასოციაციის სამკაცია-ნმა დამოუკიდებელმა სამსჯავრომ ყურად არ იღო ფეხბურთელის და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხარჩელის ხმა და მოთამაშეს სასჯელის ვადა არ შეუმცირა



ჯოჯ ტომპსონი

ასე რომ, მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული მცველი ევროპის ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს და მინდორს მხოლოდ 20 სექტემბერს დაუბრუნდება. შეგახსენებთ, რომ ფერდინანდი დასჯილია დოპინგ-ტესტის გაცდენისთვის. „რიო ძალიან იმედგაცრუებულია, ჩვენი აზრით, სასჯელი უხეში და უმაგალითოა“ — თქვა „მანჩესტერის“

ვექილმა მორის უიტკინსმა. ფერდინანდს ასევე დარჩა 50 ათასგირვანქიანი ჯარიმაც.

ამ სასჯელს „მანჩესტერმა“ თავიდანვე უწოდა „სასტიკი“. სახუთშაბათო განხილვის წინ, კლუბის და ფეხბურთელის საპრისიპოროდ, ფეხბურთის ასოციაცია და ფიფა დისკვალიფიკაციის ერთ წლამდე გაზრდას ითხოვდნენ. სამსჯავრომ სასჯელი არ გაზარდა, მაგრამ არც შეამცირა.

„ჩვენ ვრჩებით იმ აზრზე, რომ დოპინგ-ტესტის გაცდენის ერთადერთი მიზეზი მისტერ, ფერდინანდისთვის იყო მის სისხლში არსებული აკრძალული პრეპარატები“ — თქვა სამსჯავროს მოლაპარაკებელი ნიკ ბერონმა.

ფიფას ოფიციალური შეხედულება კი ასეთია: „ფიფა მოხარულია, რომ საქმე საბოლოოდ დასურულია“.

სამკაცინ სამსჯავროში შედიოდნენ დამოუკიდებელი ექსპერტი იან მილი, ასოციაციის თავმჯდომარე ჯეფ ტომპსონი და ასოციაციისავე



მრჩეველი როჯერ ბარლენი. ამ სამმა კაცმა ორსაათნახევარი იმსჯელა და რიო კვლავაც მოედნის გარეთ დატოვა.

თუკი ფეხბურთელს და კლუბს კვლავაც მოუწოდებთ საქმის გასაჩივრება, მაშინ სპორტის საერთაშორისო არბიტრაჟს უნდა მიმართონ, რომელიც შვეიცარიაშია.

სანამ ფერდინანდის სასჯელი დაიწყებოდა, „მანჩესტერი“ პირველად იგეგმა იყო პრემიერლიგაში და ყველაზე ცოტა გოლი ჰქონდა გაშვებული. ახლა ის 12 ქულით ჩამორჩება „არსენალს“ და მესამეა.

კლუბის შეფმა დევიდ გილმა კი თქვა, რომ სასჯელის მიუხედავად რიო მაინც წაჰყვება გუნდს ამერიკაში საზაფხულო ტურნეზე და თუმცა ვერ ითამაშებს, ივარჯიშებს მაინც.

ირაკლი ზამხრელიძე

რიო ფარდინანდი

დაიბადა 1978 წლის 11 თებერვს 33 თამაში ნაკრებში (1 გოლი)

1996 წლიდან „ვესტ ჰემ იუნაიტედში“ და სიუენსვილიდანვე ამ გუნდისა და ნაკრების კაპიტან ბობი მურს აღარებენ.

1997 წელს გლენ ჰოდლმა ნაკრებში გამოიძახა. მალევე სიმთვრალის გამო 1 წლით აუკრძალეს მანქანის მართვა.

1997 წელსვე პირველად ითამაშა ნაკრებში კამერუნის წინააღმდეგ.

1998 წელს ნაკრების 22 კაცში მოხვდა, ოლონდ მსოფლიოს ჩემპიონატზე მინდორზე არ ვასულა.

2000 წელს ევროპის ჩემპიონატზე მიმავალ ნაკრებში კვინ კიგანმა არ შეიყვანა. ამ ჩემპიონატის მსვლელობისას ფერდინანდი რამდენიმე ახალგაზრდა ვარსკვლავთან ერთად კვიპროსზე, აინაპზე ისვენებდა, სადაც ლოთობასა და ორკივებში ჩაერთო, რაც ვიდუიზეც გადაიღეს მთვრალმა მოთამაშებმა.

2000 წლის ნოემბერში „ლიდსმა“ 18 მილიონ ვირვანქად იყიდა „ვესტ ჰემისგან“. ეს თანხა ბრიტანეთის სატრანსფერო რეკორდი იყო. „ლიდსმა“ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალს უწია.


2002 წლიდან საერთაშორისო ვარსკვლავად ყალიბდება, მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონატში.

2002 წლის ივლისში „მანჩესტერი“ ყიდულობს 30 მილიონ ვირვანქად, რაც ასევე ბრიტანული და მსოფლიოს სამცველო რეკორდია. კვლავ დასჯილია მანქანის სიმთვრალეში მართვისთვის, ამჯერად 6 თვით.

2003 წლის სექტემბერში საკლუბო ბაზაზე დოპინგ-ტესტს აცდენს.

2003 წლის დეკემბერში მთვანი დისკვალიფიკაცია მოუსაჯეს.

რეალმა ოუენი გადაიფიქრა მადრიდში ლიუნგბერგის თამაში და საცვლავი მოსწონთ



მაიკლ ოუენს ზაფხულში მადრიდის „რეალში“ გადასვლის შანსი აღარ აქვს. მან ამ სეზონში საძაგლად ითამაშა.

არადა, ადრეულ შემოდგომაზე „სამეფო გუნდის“ ხელმძღვანელებს უმთავრეს სამომავლო მიზნად სწორედ ოუენის ყიდვა მიაჩნდათ. ცნობილი იყო, რომ მადრიდელები მასში 25 მილიონი ვირვანქის ანუ დაახლოებით, 40 მილიონი დოლარის გადახდას აპირებდნენ და ფიქრობდნენ, რომ ლათინელ ფეხბურთელთა სამყაროში იგი და დევიდ ბექემი ჩინებულ ინგლისურ წყვილს შექმნიდნენ.

მაგრამ ოუენს სეზონი ჩაუვარდა. აქამდე, 18 შეხვედრაში მხოლოდ სამი გოლი ჰქონდა გატანილი და

მხოლოდ რამდენიმე დღის წინ, ოთხშაბათს დაამატა მონაგარს კიდევ ორი. ამასთან, ოუენმა ორი პენალტიც ვერ შეაგდო, ეს „პორტსმუთსა“ და „საუთჰემპტონის“ წინააღმდეგ შეხვედრებში მოხდა. საინტერესოა, რომ ეს ორი თერთმეტმეტრიანი მის კარიერაში მეთუე და მეთერთმეტე გაცულებული გახლდათ.

ერთი სიტყვით, „რეალის“ შეფებმა ოუენის შემენა გადაიფიქრეს, რადგან ჩათვალეს, რომ ამ ეტაპზე ოუენი ვერც ოსტატობით გაუტოლდებოდა მათ მოთამაშეებს და ვერც ქომაგებს აღაფრთოვანებდა ისე, რომ ვთქვათ, მისი მათსურების გაყიდვით მიეღოთ გარკვეული მოგება.

„ამ სეზონის მიხედვით „რეალს“

მისი ყიდვა აღარ უნდა — განაცხადა მადრიდულ კლუბში მომუშავე მავანმა, რომელმაც ეს ყველაფერი ინგლისელ ჟურნალისტებს გაანდო — როგორ გინდა შემდეგ გაამართლო ძირითად შემადგენლობაში რონალდოს ან რაულის ნაცვლად ოუენის გამოჩენა? მისთვის ხომ გუნდში უბრალოდ ადგილი ვერ გამოჩნდება და, შესაბამისად, ფლორენტიანო პერესი კაპიტანს არ გადაიხდის. დიან, პერესმა მიზნად ყოველ ზაფხულს ახალი ვარსკვლავის ყიდვა გადაწყვიტა, მაგრამ ოუენი ამჟამად ვარსკვლავი არ არის“.

ასე და ამგვარად, ოუენის საბაზრო ღირებულება ჩამორჩა ტიერი ანრის, რუულ ვან ნისტელროის, დევიდ ტრეზეგეს და ფრანჩესკო ტოტისას. ამბობენ, რომ „რეალმა“ თვალის ლონდონის „არსენალის“ შვედ ნახევარმცველს, ფრედი ლიუნგბერგსაც დაადგა. მოგეხსენებათ, 26 წლის ლიუნგბერგი ამ სეზონში ჩი-



ნებულად თამაშობს და საკმაოდ კომერციული ადამიანიც ბრძანდება, რადგანაც იგი „კელვინ კლაინის“ საცვლებს უწევს წარმატებულ რეკლამას.


ბაპუნა კელია

უნიკო ბაბალა



„ჩელსის“ ფეხბურთელობა და მსუყვე ჯამაგირი კარგია, მაგრამ კლოდ მაკელელეს ერთი გადაუჭრელი პრობლემა აქვს. ექვს თვეზე მეტია, ლონდონში ცხოვრობს, ინგლისური კი ვერ ისწავლა. ფრანგს საგანგებო კურსებმაც ვერ უშველა. „გაკვეთილებმა ამაოდ ჩაიარა. ინგლისურად საუბარი ძალიან მიჭირს. მასწავლებელი რაზე მელაპარაკება მესმის, მაგრამ პასუხის გაცემისას ენა მებმება“.

მოკლე ჩართვა



ბექემი მადრიდში ივარება ბოლო ხანს ხშირად ლაპარაკობენ „ჩელსის“ ბექემის გუდასვლის შესახებ. ფეხბურთელი უარობს, მაგრამ მადრიდელმა ჟურნალისტებმა რამდენიმე საინტერესო ფაქტი გამოჩინებეს, რომლებიც ინგლისელის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ. პირველი — ბექემმა შვილი ბრუკლინი იქაურ კოლეჯში არ მოაწყო. მეორე — სეზონის ბოლოს თარჯიმნის გათავისუფლება სურს. მესამე — ვიქტორია სულ უფრო ხშირად იმეორებს, რომ ლონდონზე უკეთესი ქალაქი მსოფლიოში არაა. დევიდს მადრიდში ცოლ-შვილი მხოლოდ უქმეებზე აკითხავს.

პასპორტი

კარგია, როცა მსოფლიო გიცნობს. შეგიძლია, უპასპორტოდ იარო. პრადამი, „სპარტასთან“ მეოთხედფინალში მატჩის წინ ჩასულ პალოლო მალინის პასპორტი არ აღმოაჩნდა, მაგრამ ჩეხმა მესაზღვრეებმა მალინის გამო გაატარეს და შემდეგ უკანაც გამოატარეს.



რობარიოს ალსარება

მე არასოდეს ვყოფილვარ ნამდვილი სპორტსმენი. ნამდვილი სპორტსმენი მუდამ სწორად უნდა იკვებებოდეს და რეჟიმში იცხოვროს. ასეთი სისულელები არასდროს მიკეთებია, მაგრამ წეს-კანონებით რომ მეცხოვრა, ეგებ უფრო დიდი ფეხბურთელი გავმხდარიყავი. თუმცა საკითხავია, ვიქნებოდი კი ბედნიერი? — რობარიოს.



იზაქია

საბანგებო შეხვევა საქმით ლაციო, გულით რომა

XXVI ტური	
დღეს	
უდიწევა — მუხრანის	
პილატი — პარმა	
სვალ	
სიანა — ანაბა	
პოლონი — ბრეშა	
ანაბა — ბენედი	
ლაჩე — პარმა	
პოლონი — პარმა	
ლაჩე — პარმა	
პილატი — პარმა	
პილატი — პარმა	

სადღეისო ვითარება	
მილანი	25 20 4 1 50:15 64
რომა	25 17 6 2 55:11 57
იუვენტუსი	25 17 4 4 51:30 55
ლაციო	24 12 5 7 35:25 41
პარმა	25 11 8 6 37:34 41
უდინეზე	25 10 8 7 31:28 38
ინტერი	25 10 7 8 40:27 37
სამპდორია	25 9 9 7 32:31 36
კიევი	25 8 7 10 25:27 31
ბრეშა	25 6 10 9 37:41 28
ლეჩე	25 7 6 12 28:39 27
სიენა	25 6 8 11 31:38 26
ბოლონია	24 6 7 11 27:36 25
მოდენა	25 5 10 10 21:32 25
რეჯინა	25 4 12 9 20:34 24
ემპოლი	25 5 7 13 18:39 22
პერუჯა	25 2 13 10 31:44 19
ანკონა	25 0 7 18 11:49 7

დერბი დერბია, გენუაზე მილანური იყო, გენუაზე რომაული, მაგრამ მათ შორის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავებაა: მილანური დერბი, თითქმის ყოველთვის, ცხრილის მწვერვალთან უკეთესი პოზიციისთვის ბრძოლაა, ხოლო „რომა“ და „ლაციო“ ზედა ოთხეულში ერთდროულად იშვიათად რომ მოხვდნენ, ახლა სწორედ ეს შემთხვევაა: „რომა“ და „ლაციო“ ოთხეულშია, მოგება მხოლოდ მოწინააღმდეგის დასამცირებლად არ სჭირდებათ და ორივე შემტევს სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს.

და მოგვხსენებთ, ორივეს ბინა „სტადიო ოლიმპიკო“, თუმცა მიმდინარე სეზონში ამ სარბიელზე „რომა“ აშკარად უკეთესი შედეგი აქვს. კერძოდ, ჯალოროსიმ, რაც ყველაზე უფრო ნიშნავს, 37 გოლი გაიტანა და მხოლოდ 6 გაუშვა. ერთი სიტყვით, ოქმის მიხედვით, „რომა“ მართალია სტუმარია, მაგრამ ამ სარბიელზე მისი სტუმრობა, დაგვეთანხმებით ერთობ პირობითი იქნება.

გასული კვირა „რომასთვისაც“ ძნელი გამოდგა და „ლაციოსთვისაც“. „რომა“ რეგო კალაბრიაში ვერ მოიგო და ამით „მილანის“ დაწვევისა და გასწრების შანსი შეიმცირა, „ლაციო“ კი „უდინეზეს“ 2:1 უგებდა, მაგრამ ბოლოწამს გაუშვა და ქულასდა დასჯერდა, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ თანის ფინალში „იუვეს“ 2:0 მოუგო.



კრისტიან პანუჩი ბერნარდო კორადის ხვალ ხელს ვერ შეუშლის

ახლა უშუალოდ დერბის სტატისტიკაზე: „ლაციოს“ „რომა“ 1999 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია. მას შემდეგ გუნდებმა სამჯერ ფრედ ითამაშეს, ხოლო ოთხჯერ „რომა“ გაიმარჯვა და ამ ოთხს შორისაა დაუვიწყარი 5:1.

ხვალ ღამით „რომა“ არ ეყოლება ერთი თამაშით დისკვალიფიცირებული ჯონათან ძებინა, ხოლო კრისტიან პანუჩი მწვრთნელთან, ფაბიო კაპელოსთან კონფლიქტის გამო კლუბმა ორმატიანი უქმობითა და 120 000 ევროთი დასაჯოს.

„ლაციოს“ უბრუნდება დისკვალიფიცირებული ფაბიო ლივერანი. როგორც ამბობენ, ის ჩინებულ ფორმაშია, ასე რომ, უცქირეთ და გახსოვდეთ, რომ ლივერანი ბავშვობიდან „რომა“ თავგადაკლული ქომაგია.

„მილანი“ კი დღეს „პარმას“ მასპინძლობს. მოგვხსენებთ, „მაე-წითლები“ „რომა“ 7 ქულით უსწრებენ და ძალიან საეჭვოა პარმელებს ეს უპირატესობა შეაბაღლინონ. მათ ბოლო 12 შეხვედრაში 11 მოგება და ერთი ფრე აქვთ, ხოლო ცხრილში უკვე იმდენი ქულა უწერიათ, რამდენიც წინა სეზონში სულ არ ჰქონდათ.

დაშავებულები? ასეთები კრისტიან ბროკი და ალესანდრო ნესტა არიან. ნესტამ წინა ტურში ბარძაყის კუნთი გაიჭიმა და მის ნაცვლად დატყვის ცენტრში ბილ კოსტაკურტა ითამაშებს.

„პარმა“ კი ერთია იმ ხუთი გუნდიდან, რომელთაც ამ სეზონში „მილანთან“ არ წააგეს. ეს პირველ წრეში „სტადიო ტარდინიზე“ მოხდა, როდესაც მეტოქეებმა ერთმანეთს გოლი ვერ გაუტანეს. პარმელთა შორის არ იქნებიან მორფეო, სერინი და კარდონე, პაოლო კანავარო კი დისკვალიფიკაციის შემდეგ ბრუნდება. მიაქციეთ ყურადღება ნახევარმცველ სიმონე ბარონესა და თავდამხმელ ალბერტო ჯილარდინოს. მათზე ამბობენ, დღეს მომავალ გუნდს ეთამაშებიანო. „მილანის“ სავარაუდო შემადგენლობაში კვლავ ვერ ამოვიკითხეთ კახა კალაძის სახელი და გვარი.

„იუვენტუსის“ პრეტენზია აღარ აქვს და ვერც ექნება, რადგან მეტსახელს ამართლებს — ბუბერი ქალბატონია. თან, „მაე-თეთრთა“ შორის, უდინეში, არ იქნებიან დავიდ ტრეზეგე, მარკ იულიანო, ჯანლუკა ძამბროტა და ალესანდრო დელ პიერო. საეჭვოა აგრეთვე პაოლო მონტელოს და ალესანდრო ბირინდელის თამაშიც, სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდნენ იგორ ტუდორი და ენცო მარესკა. დისკვალიფიცირებულია ანტონიო კონტე.

„ინტერს“ კი... თუმცა, მოდით გადავწყვიტოთ ამ გუნდზე კიდევ უნდა ვილაპარაკოთ თუ არა. თან აუტსაიდერ „ანკონას“ ეთამაშება. ერთი სიტყვით, „მაე-ლურჯებმა“ ბოლო 11 თამაშში ერთხელაც ვერ გაიმარჯვეს და ენახოთ, თუ ამას ანკონაში შეძლებენ, მაშინ იქნებ შევიწყლოთ კიდევ.

ინგლისი



ეს უცნობი ლამაზი დენის ბერესკამს დღეს „ჰაიბერიზე“ უქომაგებს

ქულას და... 5000 არსენალი ერთი მოგებით ორ ჩაქორდს უმიზნებს

XXIX ტური	
დღეს	
არსენალი — ბოლტონი	
ასტონ ვილა — ბლემპინგი	
ჩელსი — ვულვეი	
ლესტერ — ვიბრატონი	
ლივერპული — ვულვეი	
მანჩესტერი — ტოტენჰემი	
მიდლსბრო — ბირმინგემი	
ნიუკასლი — ჩარლტონი	
სვალ	
პორტსმუთი — საუთჰემპტონი	
შაბ	
ლიდსი — სიტი	

სადღეისო ვითარება	
არსენალი	28 21 7 0 55:18 70
ჩელსი	28 19 4 5 50:21 61
მანჩესტერი	28 18 4 6 52:29 58
ჩარლტონი	28 12 7 9 39:34 43
ნიუკასლი	28 10 12 6 38:29 42
ლივერპული	28 11 9 8 41:31 42
ბირმინგემი	28 11 9 8 30:30 42
ასტონ ვილა	28 11 7 10 36:32 40
ფულემი	28 11 6 11 41:38 39
ტოტენჰემი	28 11 4 13 40:43 37
საუთჰემპტონი	28 9 9 10 29:27 36
მიდლსბრო	28 9 7 12 29:35 34
ბოლტონი	28 8 10 10 32:44 34
ევერტონი	28 8 8 12 34:39 32
სიტი	28 7 9 12 40:40 30
ბლექბერნი	28 7 7 14 39:46 28
ლესტერი	28 5 11 12 38:51 26
პორტსმუთი	28 6 6 16 29:44 24
ვულვეი	28 5 9 14 24:56 24
ლიდსი	28 5 7 16 26:55 22

ლიდერი „არსენალი“ კიდევ უფრო გაძლიერდა — დენის ბერესკამი და ფრედი ლიუნგბერგი სასტარტო შემადგენლობაში სათამაშოდ მზად არიან. გამოჯანმრთელდა ფერემი ალიადირიცი, თუმცა ის მაინც მეორეხარისხოვანი ფეხბურთელია. რეი პარლოუ და სილვენ ვილტორდი კი მკურნალობას განაგრძობენ.

„მეთოფეთა“ მეტოქე კი „ბოლტონი“ გახლავთ, რომელსაც ზედიზედ მეორე მატჩში გამოაკლდება იური ჯორკაეფი. ფრანგის ადგილს ჰენრიკ პედერსენი დაიკავებს. თუ არ დამარცხდა, ეს „არსენალისთვის“ ორმაგად სარეკორდო მატჩიც იქნება — ჩემპიონატში მეოთხე 29 თამაში აქამდე „ლიდსს“

(1973-74) და „ლივერპულს“ (1987-88) არ წაუგიათ და „მეთოფენი“ ამ რეკორდს გაიმეორებენ. ამასთანავე, ლონდონელებს ერთი ქულა უკლიათ, რათა 100 ინგლისურ სეზონში 5 ათასი ქულა დაუგროვდეთ „ბოლტონთან“ კი „არსენალს“ ბოლო 8 პრემიერლიგურ მატჩში არ წაუგია.

„მანჩესტერი იუნაიტედი“, რომელმაც ჩემპიონობის შანსი, ფაქტობრივად, დაკარგა, „ტოტენჰემს“ გვარიანად კაცნაკლული დაუხვდება. მანჩესტერელებს როი კინი, ლუი სპა, კრისტიანო რონალდო, ერიკ ჯეგბა-ჯეგბა და კლემენტინი არ ეყოლება. ერთი ეგაა, გარი ნევილმა ოთხმატიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და სათამაშოდ მზადაა, ისევე, როგორც მიკაელ სილვესტრი.

„ტოტენჰემის“ შემადგენლობაში ალბათ ითამაშებს ჯეიმი რედნაპი, რომელსაც მუხლის ტრავმის გამო სექტემბრის მერე პრემიერლიგაში არ უთამაშია. ლონდონელებს საიმონ დევისი, დარენ ანდერტონი და დინ რიჩარდსი დაშავებული ჰყავს.

„მანჩესტერს“ ლონდონელთათვის ბოლო ექვსი შეხვედრა მოგებული აქვს, „ტოტენჰემს“ კი „ოლდ ტრეფორდზე“ ბოლო რვა ვიზიტისას ქულაც ვერ მოიხვეჭა.

დასავლეთლონდონურ დერბიში მეორეადგილოსან „ჩელსის“ მესამე მკარით მოუწევს თამაში. კარლო კუდინჩი და ნილ სალივანი მკურნალობენ და კარს მარკო ამბროზიო დაიცავს. „ჩელსის“ მარჯვენა მცველი გლენ ჯონსონიც დააკლდება, თუმცა კლოდ მაკელეე მომჯობინებულია და თამაშს შეძლებს.

„ფულემს“ კუნთნატკენი ლი კლარკი არ ეყოლება, კარლოს ბოკანეგრამ კი, ვინაც მარცხენა მცველია, სამმატიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

სხვათა შორის, „ფულემმა“ ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ შეძლო ზედიზედ ორი თამაშის მოგება. „ჩელსის“ კი მეზობელთან ბოლო 24 წლის მანძილზე არ წაუგია, ხოლო „სტეფორდ ბრიჯზე“ „ფულემმა“ ბოლოს 40 წლის წინ მოიგო.

„ნიუკასლისა“ და „ჩარლტონის“ მატჩის წინ BBC-მ მანსები 50/50-ზე შეაფასა.

„კაჭკაჭებს“ ალბათ კრეიგ ბელამი შეემატება, რომლის მზადყოფნასაც მატჩის წინ ექიმები შეამოწმებენ. აი, კირონ დაიერი გუნდს ვერაფრით დაეხმარება.

„ჩარლტონს“ შეემატა მთავარმეგობლე იუელი, ვინაც აქამდე ორი თამაში გამოტოვა, მცველი მარკ ფიში კი გუნდს სამი კვირა ვერ დაეხმარება.

ბერლინი

კაპი ხეცვილი

Achtung, Achtung!

გაიტანე და მილიონს მოგიტანე

XXV ტური	
დღეს	
შალკე — პანოვერი	
დორტმუნდი — აინტრახტი	
კიოლნი — შტუტგარტი	
ჰანზა — ლევერკუზენი	
ჰერტა — ბაიერნი	
გლადბახი — ვაიკენი	
ლაიპციგი — ბორუსია	
სვალ	
მიუნხენი — ვარდები	
ვოლფსბურგი — ვერდერი	

სადღეისო ვითარება						
ვერდერი	24	18	4	2	59:23	58
ბაიერნი	24	14	7	3	53:26	49
შტუტგარტი	24	13	7	4	31:10	46
ბოხუმი	24	11	8	5	38:25	41
ლევერკუზენი	24	11	6	7	44:33	39
შალკე	24	9	9	6	29:26	36
დორტმუნდი	24	10	5	9	38:34	35
ჰამბურგი	24	9	6	9	33:38	33
ჰანზა	24	8	7	9	38:35	31
ვოლფსბურგი	24	10	1	13	44:46	31
ფრაიბურგი	24	8	5	11	33:51	29
ლაიპციგი	24	9	3	12	25:35	27
აინტრახტი	24	7	5	12	28:34	26
მიუნხენი	24	7	5	12	24:37	26
გლადბახი	24	6	6	12	24:34	24
ჰანოვერი	24	6	6	12	38:52	24
ჰერტა	24	5	8	11	24:45	23
კიოლნი	24	4	4	16	19:38	16

„ბილინგჰაიმის“ ფაქტობრივი აქტი

ბერლინში ერთ-ერთმა რადიო მილიონი ევრო დააწესა „ბაიერნის“ იმ ფეხბურთელისთვის, რომელიც გოლს საკუთარ კარში გაიტანს. მილიონები მიუხედავად არ აკლიათ და ამ პრის „ჰერტას“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა სისულელე უწოდა.

„მე ვხვდები, ვინ წაიღებს ჯილდოს — იხუმრა ბასტიან შვაინსტიკერმა — ალბათ, რიო მაკაი. ის ხომ გუნდის მთავარმწიგნოველია“.

რადიოს კორესპონდენტთა თქმით კი, მთავარი კანდიდატი მიხედავ ბალაკია. მან შარშან ბერლინში საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

ფრანკფურტში შერცხენილი „შალკე“ დაჩაჩანაკებულ „ჰანოვერს“ უმასპინძლებს. გელზენკირხენელს მეკარე ფრანკ როსტი, მცველი ანიბალ მატელანი და ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი ტრავმირებული ჰყავთ. ხოლო ჰოლანდიელი ნილს უდე კამპუსისი გამოკეთდა და შესაძლოა, ითამაშოს.

„ჰანოვერმა“ ახალი მწვრთნელის ევალდ ლინენის ხელში პირველი მატჩი ერთი კვირის წინ წააგო და საეჭვოა, რომ ახლა „შალკესთან“ მოიგოს. სტუმრებს აბელ შავიერი დააკლდება.

დორტმუნდის „ბორუსიას“ ბოლო ხანს მოლონდობის „აინტრახტთან“ ბრძოლა მოუწყვეს. მასპინძლებს ტომას როსიცკი და ლარს რიკენი არ ეყოლებათ, ფრანკფურტელები კი ძირითადი შემადგენლობით ეწყვიან დორტმუნდს.

„შტუტგარტს“ კიოლნი 35-ჯერ უთამაშია და მხოლოდ ოთხჯერ მოუგია. ფელიქს მაგათის გუნდს ამჟამად კარგი შანსი აქვს,



მიხედავ ბალაკს შარშანდელი ბერლინური გაახსენეს

ეს მანქანებელი გაზარდოს, რადგან „თხე-ბი“ ძალიან სუსტად გამოიყურებიან და მათი დამარცხება შტუტგარტელებს აშკარად ძალუძთ.

მიუნხენში „ბაიერნთან“ მოპოვებული ქულით გალაღებული როსტოკელები „ბაიერს“ დაუხვდებიან. „ფარმაკეცტეს“ ტრავმირებული ილდირაი ბაშთურქი ვერ დაეხმარება.

თასის ნახევარფინალიდან გამოძევებული მიუნხენგლადბახის „ბორუსია“ „ჰამბურგს“ უმასპინძლებს. დამხვდურებს გამარჯვება სწავლიათ, რათა ცხრილის ქვედა სართულიდან დაიძრნენ. ჰამბურგელებს კვლავ არ ეყოლებათ მთავარმეკარე მარტინ პიკენჰაუერი.

„კაიზერსლაუტერნმა“ ზედიზედ ორი მა-

ტჩი მოიგო და ახლო გასამებას „ბოხუ-მიან“ აპირებს. ბოხუმელები უკვე დიდი ხანია, დაუმარცხებლად დასეირნობენ და შეიძლება დღეს ცხვირი წაიმტვირონ.

მასპინძლებს კაპიტანი ალექსანდრ კნაფსი, სტუმრებს კი რაიმონდ კალა ჰყავს დასჯილი.

მიუნხენში „ფრაიბურგი“ ტრავმირებული მეკარე რიხარდ გოლციის გარეშე ჩავა. „ლომბის“ ფერნანდო და რომან ტოსე დისკვალიფიცირებულნი არიან.

ვოლფსბურგს ლიდერი ეწყვევა. „მგლებს“ შანსი აქვთ, „მუსიკოსების“ ტრიუმფალური სვლა შეაჩერონ. ხოლო თუ „ვერდერმა“ მოიგო, კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდება ბუნდესლიგის პირველს.

პალკერდა კაიროუსი რაულას აპირებს



ტურის ყველაზე საყურადღებო მატჩი დღეს „სან მამესუე“ ჩატარდება — ერთმანეთს „ბილბაო“ და მადრიდის „რეალი“ შეერკინებიან. სამეფო გუნდის სამწახნაოვან გვირგვინს (პრიმერადივიზიონი, სამეფო თასი, ჩემპიონთა ლიგა) რამდენიმე დღის წინ „სარაგოსამ“ საკმაოდ ბარაქიანი ნაწილი, კოპა დელ რეი მოაგლიჯა, ამიტომაც კარლუს კეირუსის არმადა ბურუსიდან მალე უნდა გამოვიდეს, რათა შელანძული გვირგვინის ერთი ნატეხი მაინც შეინარჩუნოს. თავის მხრივ, ბასკები, მიუხედავად სატურნირო ცხრილში მეხუთე პოზიციისა, დიდი გამარჯვებით არცთუ განებივრებულნი არიან — ბოლო ორი საპრიმერო შეხვედრა ზედიზედ წააგეს და შინ 8 თებერვლის მერე არ მოუვიათ.

„რეალს“ არ ეყოლება ტრავმირებული რონალდო. „რეალის“ მოიერიშე ხაზი ფრიად მორყეულია, რადგან რაულასც მუხლი ბო-



ლომდე არ მორჩენია და სრულად ვერ იხარჯება. ხავიერ პორტილიო კი ნაღდად არაა ის კაცი, სათადარიგო მხარბეჭით სამეფო გუნდი ატაროს. რონალდო სანტანდერის „რასინგთან“ მატჩში დაშავდა და იქიდან მოყოლებული „რეალი“ გოლთა სიმწირეს განიცდის.

მასპინძლებს აიგორ კარანკა არ ეყოლებათ, რამაც დამხვდურთა დამრიგებელს აფიქრებინა, რომ მადრიდელ სტუმართა წინააღმდეგ ცენტრალურ მცველთა წყვილი გამოიყენოს — ლაკრუსი და ლუის პრიეტო. „მთავარი ჩემთვის მათი სისწრაფეა. „რეალის“ ვარსკვლავები საკმაოდ ზანტად მოძრაობენ და დარწმუნებული ვარ, მოედანზე დროული გადაადგილებით ჩვენები კეირუსის ბიჭებს საზიფათო კომბინაციებს ჩაუშლიან“ — თქვა ერნესტო ვალვერდემ. საპრიმერო ისტორია მასპინძელთა მხარესაა — „სან მამესუე“ ბოლო 10 მადრიდული ვიზიტის დროს „ბი-

ფეხბურთი

ლაბომ“ ოთხჯერ იხვირა, ოთხჯერაც მეტოქეები ფრეზე შეთანხმდნენ, ხოლო სამეფო გუნდმა მხოლოდ ორი გამარჯვება იხვინა.

საკმაოდ მცირე ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც კატალონიური „ბარსელონა“ მე-11 ადგილზე იხრილობდა და კლუბის თავკაცები მედიასთან მასლაათისას ფრთხილად აღნიშნავდნენ, ჩვენი საამსეზონო მიზანი მხოლოდ საწემპიონთალიგო ოთხეულში მოხვედრაა. რვა ტური და რვა მიჯრით მოგება — აი, ასპროცენტული შედეგი, რითაც ფრანკ რაიკარდის ბიჭებმა განცვიფრებულ გულშემატკივრებს ძველი უსიამოვნობები დაავიწყეს. წაუგებელი სერიის გაგრძელების შემთხვევაში, პლუს სხვა ლიდერთა ოდნავი წამობირძივება და არა მარტო ოთხეული, არამედ... თუმცა ჯერ ზვალინდელ მატჩში „კამპ ნოუზე“ „სოსიედადის“ ძლევაა საჭირო. „ბარსა“ სრული შემადგენლობით ითამაშებს, დენიოს ზღვისპირულ ბასკებს კი 13 წელია, კატალონიიდან სამი ქულა არ წაუღიათ.

ხავიერ ირურეტას „დეპორტივოს“ თავისი ადგილის განსამტკიცებლად შესანიშნავი შანსი აქვს — დღეს სეგუნდადივიზიონისთვის განწირულ „მურსიას“ საკუთარ „რიასორზე“ ხვდება. მეორეადგილოსანი „ვალენსიაც“ შინ ითამაშებს, ოღონდ მურსიელებზე გაცილებით საშიშ მეტოქესთან — „მალიორკამ“ „დეპორი“ წინა ტურში 4:2 გაანადგურა. „სევილია“ და „მალაგა“ ტრადიციულად მძინვარე ანდალუსიურ ღერბის გამართავენ, კოპა დელ რეის ახლანდელ მფლობელი „სარაგოსა“ კი ლუის ფერნანდესის „ესპანოლს“ დაუხვდება. სტუმართა მდგომარეობა მეტად საგანგაშოა — მორიგი ფიასკო და სეგუნდას ალბათ, ვერც ისინი ასცდებიან...

XXIX ტური	
დღეს	
ბილბაო — რეალი	
დეპორტივო — მურსია	
ატლეტიკო — ვალენსია	
სვალ	
ალკანტა — ვალიადოლიდი	
ბარსელონა — სოსიედადი	
რასინგი — სელტა	
სევილია — მალაგა	
ვალენსია — ვალიორკა	
სარაგოსა — ესპანოლი	
ოსასუნა — ბილბაო	

სადღეისო ვითარება						
რეალი	28	18	7	3	55:30	61
ვალენსია	28	17	6	5	52:20	57
ბარსელონა	28	15	7	6	47:32	52
დეპორტივო	28	15	5	8	45:27	50
ბილბაო	28	11	8	9	35:35	41
ატლეტიკო	28	11	8	9	34:34	41
ოსასუნა	28	9	13	6	28:24	40
ვილიარეალი	28	11	6	11	38:38	39
სევილია	28	10	8	10	38:30	38
ბეტისი	28	9	11	8	35:30	38
მალაგა	28	12	2	14	38:42	38
რასინგი	28	10	7	11	35:40	37
ვალიადოლიდი	28	9	8	11	35:39	35
სოსიედადი	28	9	8	11	33:39	35
სარაგოსა	28	9	6	13	31:38	33
ალბასეტე	28	9	5	14	27:36	32
მალიორკა	28	9	5	14	35:49	32
სელტა	28	6	9	13	36:53	27
ესპანოლი	28	8	2	18	31:50	26
მურსია	28	2	11	15	23:45	17





ლენდროს, აილტონს და დედეს წაჭარბობა დაუშალეს

არ გახედოთ! ფიფამ წაჭარბებს ბრაზილიელების გაარაბებას

ორი კვირის წინ ფრიალ საინტერესო ცნობა გავრცელდა — აილტონი, დედე და ლენდროსი მოქალაქეობას იღებენ და არაბული ქვეყნის ნაკრებში თამაშს აპირებენ. აილტონი „ვერდერის“ მთავარმწიფეა, დედე და ლენდროსი კი დორტმუნდის „ბორუსიას“ ფეხბურთელები არიან. ბრაზილიაში ძალიან ბევრი კარგი მოთამაშეა და ეროვნულ გუნდში ყველა ვერ მოხვდება. ამიტომაც გადაწყვიტეს „გერმანიელმა“ ბრაზილიელებმა წაჭარბება გადაარჩინა.

ეს ამბავი ფიფამ შეიტყო და ღობაში იქაურებს შეუთვალა — ამის უფლება არ გაქვთ და თუ მაინც დაიჟინებთ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში არ დაგიშვებთო, არაბებმა ფიფელთა გაფრთხილება გაითვალისწინეს და


რუდი ფილერსი დაჯილდოვდა თაგაპოს

მეორის ჩემპიონატის დაწყებამდე ორ თვეზე მეტი დარჩა. გერმანიის ნაკრების მწვრთნელ რუდი ფილერსს ალბათ, გული ცუდს უგრძნობს და ამიტომ თავის დაზღვევა ნაადრევად გადაწყვიტა: „უნდა ვალიარით, რომ ძლიერ ვგუფში მოვხვდით. პოლანდიის, ჩეხეთისა და ლატვიის ძლევა რთულია. ამიტომ მეოთხედფინალში თუ ვერ გავდივით, ეს ქვეყნისთვის და ქომაგისთვის უსიამოვნო სურპრიზი არ უნდა იყოს. მთავარია, რომ გუნდმა პორტუგალიაში საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმი აჩვენოს. ევრო 2000-დან უსახელოდ გამოვარდნა მთელ გერმანიას გულში ხინჯად აქვს და ამის გამო უფრო მეტი პასუხისმგებლობა მეკისრება.“

ალეფანტოსი კველია და ნაცადი პირმოსის „ოლიმპიკოსის“

ფანები მარმან გაზაფხულზე ოლეგ პროტასოვს აღმერთებდნენ, უკრაინელმა გუნდი ჩემპიონი გახდა. მაშინ „ოლიმპიკოსმა“ ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტური ადრე „პანათინაიკოსი“ 3:0 გაანადგურა და ოქრო დაისაკუთრა. პირველად ამ სეზონშიც კარგად თამაშობდნენ, მაგრამ ერთი კვირის წინ მინ აკოტინ დამარცხდნენ და ფინალშიც ვერაფერი „ოლიმპიკოსი“ „პანათინაიკოსის“ ორი ქულით ჩამორჩა. ეს საკმარისი მიზეზი გახდა ოლეგ პროტასოვის გასათავისუფლებლად. უკრაინელი სამუშაოდან დაითხოვეს და გასული კვირის განმავლობაში გუნდს მისი თანაშემწე სინიშა გოვინი წვრთნიდა. გუნდს კი კლუბმა ოფიციალურად განაცხადა, რომ „ოლიმპიკოს“ ნიკო ალექსანტოსი ჩამაბარებს. იგი 1993-1995 წლებშიც მუშაობდა პირველში.

გაშა ხუციფილი



ინტერის გერმანული ინტერესი

„ინტერი“ მიხედავ ბალაკისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ურთიერთობას აკვირდება — ღაირა ჯორი, ბალაკი წასვლას აპირებსო.

მოგეხსენებათ, გერმანული ნახევარმცველის თამაშს ბოლოხანს ფრიალ აკრიტიკებენ და, ალბათ, ამიტომაც გაჩნდა აზრი, რომ ზაფხულში ყველაფერი კლუბისა და ვარსკვლავის გაყრით დასრულდება. გერმანულ პრესაში გაჩნდა ცნობები, თითქოს ბალაკის გადაბირებით ერთი ხნის წინ დაინტერესებული იყო „ინტერი“. ცნობილია, რომ „ინტერის“ პრეზიდენტი ჯოზეპე მორატი ბალაკის ნიჭის თაყვანისმცემელია, რადგან ეს მოთამაშე მას ლოთარ მათეუსს აგონებს, ხოლო მათეუსი ის ვარსკვლავია, რომლის ნიჭზე დაყრდნობით „შალკეზებმა“ 1989 წელს სკუდეტო ანუ იტალიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.


მეორის სუპერბოული

ზაფხულში, ევრო 2004-ის მერე, აშშ-ს და კანადას ბოლოდა ევროპული კლუბები ენვევიან. ისინი წინასასეზონო მოსამზადებელ ერთ-ერთ ეტაპს გაივლიან 24-ივლისიდან 3 აგვისტომდე და იანკ-კანადელთა თვალწინ ერთმანეთს კომერციულ ტურნირშიც გაეჯიბრებიან.

Table with match results: 24 ივლისი. სიეტლი ჩელსი (ინგლისი) - სელტიკი (შოტლანდია) 2:1; 25 ივლისი. ჩიკაგო მანჩესტერ იანაიბლდი (ინგლისი) - ბაიერნი (გერმანია) 2:0; 26 ივლისი. ისტ ჰარტფორდი ლივერპული (ინგლისი) - სელტიკი (შოტლანდია) 2:0; 28 ივლისი. ფილადელფია მანჩესტერ იანაიბლდი (ინგლისი) - სელტიკი (შოტლანდია) 2:0; 29 ივლისი. პიტსბურგი რომა (იტალია) - ჩელსი (ინგლისი) 3:1; 31 ივლისი. ისტ რუტერფორდი მანჩესტერ იანაიბლდი (ინგლისი) - მილანი (იტალია) 3:1; 31 ივლისი. ტორინტო სელტიკი (შოტლანდია) - რომა (იტალია) 2:0; 2 აგვისტო. ფილადელფია ჩელსი (ინგლისი) - მილანი (იტალია) 3:0; 3 აგვისტო. ისტ რუტერფორდი რომა (იტალია) - ლივერპული (ინგლისი) 3:0.

ლიბერტადორების თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

ვერაზე გავიზარდე. მამაჩემიც და ბიძაჩემიც ჭიდაობდნენ და სპორტისადმი ინტერესი მათ ჩამინერგეს. იყო სხვა ფაქტორებიც, რომლებმაც ეს ინტერესი სიყვარულში გადაზარდა. დედულეთი გორის რაიონის სოფელ კარაღეთში მაქვს. ზაფხულობით მისობაზე ჩავდიოდით ხოლმე. ქართული ჭიდაობის შეჯიბრებები იმართებოდა. დაახლოებით 13-14 წლის ვიყავი, ნახერხზე საჭიდაოდ გასვლა რომ გავბედე. პირველივე შემხვედრმა ბეჭებზე დამცა. ამის შემდეგ გადავწყვიტე, საქმისათვის ხელი სერიოზულად მომიკიდა. იყო ერთი ასეთი შემთხვევა, 1953 წელს საბჭოთა კავშირის იაპონიის ნაკრები სტუმრობდა. ჩვენს ნაკრებთან ერთ-ერთი ამხანაგური შეხვედრა თბილისის ცირკშიც ჩატარეს. იაპონელი ფალავნები სასაპარა და კაცურამოტო მაშინ მსოფლიოში უძლიერესები იყვნენ და მათი ცოცხლად ნახვა ჭიდაობის ნებისმიერი ქომაგისთვის დიდი ბედნიერება იყო. სასაპარამ ქუთაისელ ვალიკო გვიბაძეს ისეთი უცნაური ილეთით მოუგო, ყველა გაოგნებული დარჩა, კაცურამოტოს კი ჩვენმა პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ციმაკურიძემ სძლია.

სატივეს უბნთან, მერვე ვაჟთა სკოლაში ვსწავლობდი. სპორტული სკოლა არ იყო, მაგრამ იმდენი დიდი სპორტსმენი აღზარდა, ამ სახელსაც თავისუფლად შეითავსებდა. იქვე სწავლობდნენ აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე, ტანმოვარჯიშე ძმები პერტენაძეები, მოჭიდავე ძმები მაზანაშვილები, მოკრივე კოკა მუჯირი და სხვა სპორტის მიმდევრები.

თავიდან ტანმოვარჯიშე ვიყავი. ჭიდაობაში ვარჯიში საკმაოდ გვიან, 16 წლისამ დავიწყე. სანაპიროზე მდებარე სპორტკომპლექსში ბიძაჩემმა მიმიყვანა. ცოტა რომ მოვძლიერდი, ორჯონიკიძის ქუჩაზე ევრეთ წოდებულ პეტრეს დარბაზში გადავედი. ყველა დიდი ქართველი ფალავანი იქ ვარჯიშობდა. ჩემი პირველი მწვრთნელი შალვა ნოზაძე იყო და სპორტული კარიერა მის ხელშივე დავასრულე.

პირველი დიდი გამოცდა 1961 წლის შემოდგომაზე, ჭიდაობის ქართველი გულშემატკივრის საყვარელ ადგილზე, ცირკის დარბაზში ჩავაბარე. ამხანაგური შეხვედრების

ჩასატარებლად ირანის უძლიერესი ნაკრები იყო ჩამოსული. საბჭოთა კავშირის ნაკრებთან სამი შერკინება სხვადასხვა ქალაქში გაემართა და ბოლო აკორდად თბილისი მოვლავებინა. ჩემი მეტოქე იმამალი ჰაბიბი მათ გუნდში ლიდერად ითვლებოდა. ოლიმპიურ და ორგზის მსოფლიოს ჩემპიონს არათუ სსრკ-ში მსოფლიოში არ ჰყავდა ბადალი და საბჭოთა ქალაქებში სამივე ბრძოლის იოლად მოგებაც არავის გაჰკვირვებია. ერთ-ერთში ისეთი ილეთით იმარჯვა, მეტოქემ მომდევნო 2-3 თვე საავადმყოფოში გაატარა. ამ დროს მხოლოდ ნაკრების კანდიდატად ვითვლებოდი და ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში ნდობის გამოცხადება ბევრმა უცნაურად მიიჩნია. სიმართლე ვითხრათ, მეც არ ველოდი, მაგრამ ალბათ თავიდანვე ხელი ჰქონდათ ჩაქნული და „მაზანდარანელი ვეფხვის“ მორიგ ლუკმად გამწირეს.

ეს ზედმეტსახელი ჰაბიბის თავად ირანელებმა შეარქვეს. იგი წარმოშობით მაზანდარანიდან იყო, ვეფხვი კი შესანიშნავი მონაცემების გამო უწოდეს. მოგვიანებით ფილმიც გადაიღეს ამავე სახელწოდებით. მთავარი როლი თავად ჰაბიბმა შეასრულა.

ნაკრების ახალბედებს თანაგუნდელები მიემდებნენ, მოგება შეგიძლიათ, მაგრამ თვითონაც დარწმუნებულები იყვნენ, რომ განწირული ვიყავი. ნაკრების ექიმმა ხელწერილიც კი დამაწერინა, ამხელა კაცს ხედები და არაფერი მოგწიოსო. თან მართლა შეუძლოდ ვიყავი, გლანდები ზაწუნებდა. გამოცდილმა სეცილისტმა ვახტანგ ზურციძემ (წოპემ) ყელში რომ ჩამხედა, აღშფოთდა, ამ მდგომარეობაში რა ჭიდაობა უნდა შეძლო. წნევა და სიცხეც აწეული მქონდა და მიჩვენდნენ, ბრძოლაზე უარი მქონდა. მანამდე ნაკრების კანდიდატად ვითვლებოდი, როგორც იქნა, მისი სახელით გამოსვლის შანსი მომეცა და აბა, ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდი.

სსრკ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ დიაკინი ქართველ მოჭიდავეებს კარგი თვალთ უყურებდა. შეხვედრამდე მკითხა, ბოლოს და ბოლოს შეძლებ ჭიდაობას თუ ვერაო? ასეთ დროს რომელი ქართველი იტყვის უარს-მეთქი, ვუპასუხე და შევატყვე,

ესიამოვნა. თუ ვაუკაცურად იჭიდავებ და მოიგებ, კაცურ სიტყვას გაძლე, 1963 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლა გარანტირებული გექნებაო. 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემადგენლობა უკვე გარკვეული იყო და ჩემს წონაში ორჯონიკიძე-ლი მიხაილ ბეკმურზოვი იდგა.

ცირკი, რა თქმა უნდა, გადაჭედული იყო. უბილეთოდ დარჩენილი ხალხი გარეთ ელოდა შედეგს. დაიწყო თუ არა შეხვედრა, ჰაბიბმა „წისქვილა“ გამიკეთა და ორი ქულით დაწინაურდა. მაშინვე ფეხზე წამოხტა და მორიგი ილეთისთვის მეკვთა, მაგრამ ფეხებში შეუვარდი და ნახევრად ბეჭზე დავეცი — 2:2. ცხადია, გაბრაზდა და ისევ შემომიტია. ზუსტად იგივე ილეთით წინ გავედი, რამდენიმე წამში კი ანალოგიური ილეთით სულაც 6:2 გავხადე. გამოცდილი ფალავნისთვის ასეთი ჩამორჩენა მოულოდნელი კი იყო, მაგრამ არა აღმოუფხვრელი. დარჩენილ დროში უფრო და უფრო მოუმატა და სხვაობის შემცირებაც იწყო. საფინალო გონგმა რომ შემოკრა, 6:5 იყო. დარბაზი ლამის ჩამოინგრა. ეს გამარჯვება მთელი ქვეყნისთვის ოლიმპიურ ოქროზე მეტს ნიშნავდა. ირანელი ფალავანი კი საშინლად გაბრაზებული შევარდა გასახედელში. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, მთელი საღამო მოღუშული სახით გოგირდის აბანოში გაუტარებია.


ამის შემდეგ იმამალი ჰაბიბს ხალიჩაზე აღარ შეხვედრივარ. 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იაპონიაში ჩასულ საბჭოთა ნაკრებს აეროპორტში დახვდა და გამწარებული მეძებდა. ალბათ რეგანში უნდა დამშუქებოდა, ხელში კი ბეკმურზოვი შერჩა. ძალიან ძლიერი ბიჭი იყო ბეკმურზოვი, მაგრამ განრისხებულ ირანელთან მცირე შანსიც კი არ მისცემია. ჰაბიბმა ისე მოუგო, ლამის ხალიჩა დაახვეინა. ეს ჩემპიონატი მაზანდარანელი ვეფხვისთვის ბოლო იყო. სულ მალე კარიერა დაასრულა. მას შემდეგ რამდენიმეჯერ მომიწია თეირანში საჭიდაოდ ჩასვლა და ჰაბიბის დავუმეგობრდი კიდევ, თუმცა პირველი შეხვედრისას არც მომესალმა, წყენა ჯერ ვერ დაევიწყებინა. თარჯიმნის დახმარებით ვკითხე, რა მოხდა, მოგება და წაგება ძმები არ არიან-

მეთქი? ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ მაშინვე ბოდიში მოიხადა, ვალიჩაზე შეცდომასო.

1963 წელს ლიაკინმა პირობა შეასრულა, სოფიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე წამიყვანა და იმედიც არ გავუტრუე. ორი წლის შემდეგ მანჩესტერშიც ოქრო მოვიგე. შუალედში კი კარიერის უდიდესი იმედგაცრუება ვიწვინე. ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე (1964) მშვენიერ ფორმაში ვიყავი და ჩემპიონობაც უნდა მომეპოვებინა, მაგრამ თურქი ისმაილ ოგანის ეშმაკობას ვერაფერი მოუხერხებ. ხალიჩაზე ისეთი გაქონილი გამოვიდა, ხელის მოკიდება ვერ მოვახერხე. მსაჯის რამდენჯერმე ვთხოვე, კარგად გაემშრალეინათ, მაგრამ არაფერმა უშველა. შეხვედრა ფრედ დასრულდა და ტურნირი ორივემ გავაგრძელეთ. გამოცდილი მოჭიდავე იყო და როგორც მერე მიხვდები, ამით მაჯობა. ჩემს მორიგ ბრძოლებს თვალს ადევნებდა და წონასაც კი მიკონტროლებდა. დებულების თანახმად, თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა შედარებით მსუბუქისთვის უნდა მიენიჭებინათ. ასეც მოხდა. სასწორზე რომ შევედქე, დარწმუნებული ვიყავი, მსუბუქი მე აღმოჩნდებოდა, პირიქით კი მოხდა. ოგანმა წონა ზედ აწონვის წინ დაიგდო. ზედმეტმა 300-მა გრამმა გადაწყვიტა ყველაფერი — ოქრო დავკარგე.

ვერცხლის მედლები მოვიგე 1966-1967 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზეც. მეორე აუცილებლად ოქრო უნდა ყოფილიყო, რომ არა არაბიექტური მსაჯობა. ჩემი მთავარი კონკურენტი თურქი მოჭიდავე იყო და მისი დამარცხებით ფავორიტაც ვაგხდი, მაგრამ ფრანგ რობენთან ბრძოლაში დამამტკიცა, რომ კიორუფციასთან გვექონდა საქმე. ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანგი როუე კულონი იყო და ჩემპიონის ბედიც ადრევე გადაეწყვიტათ. ბევრი კი მიქომბა ჩემგან ძლეულმა თურქმა, მაგრამ ამოდ. საგულისხმოა ერთი ფაქტორიც. თავს დავდე, რომ რობენს ჩემთან შეხვედრისას ლობინვი ჰქონდა მიღებული. ისეთი არაადამიანური შემართება და მოუღლელობა, რაც მასში დაეინახე, სტიმულატორის გარეშე წარმოუდგენელია.

სპორტული კარიერა 1968 წელს, 29 წლის ასაკში დავასრულე.




მსოფლიოს ძველი და ახალი ჩემპიონები გურამ სალარაძე და ვლადარ კურტანიძე

F 1

მეორე რაგბი მალაიზიის დიდი პრიზი
საპანგო

კვალა ლუმპური, 21 მარტი



ბრასის სიგრძე ----- 5.543 კმ
ბრძოლის დისტანცია ----- 56 წრე - 310.408 კმ
რაგბი ლუმპური თბილისის დროით II საათზე

შარშან: 1 რაიკონენი (მაკლარენი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 ალონსო (რენო); 4 რ. შუმახერი (უილიამსი); 5 ტრული (რენო); 6 მ. შუმახერი (ფერარი); 7 ბატონი (B.A.R.); 8 ჰაიდფელდი (ზაუბერი)

წრის რეკორდი: 2003 - მ. შუმახერი (ფერარი) 1:36.412 (207,0 კმ/სთ)

ივარჯიშეთ, გიჭებო შუაგნის მღვდლები თავს იგულიანებენ

პირველი ეტაპის ფერარულთა ვეება უპირატესობით მოგებამ მეტოქეები გვარიანად შეაფიქრანა. ავსტრალიიდან ევროპაში მიბრუნებულმა მთელი კვირა ტესტებზე და აეროდინამიკურ გვირაბში (ვისაც ეს უძვირესი კომპლექსი აქვს) მანქანების გამოცდას მოახმარეს „მაკლარენი“ და „უილიამსი“ ისევე ანაბურდნენ, ნაყოფიერად ვიმუშავეთ, რაღაც-რაღაცები გაავუმჯობესეთ (ცხადია, ამ რაღაცას არ აკონკრეტებენ) და რევანშის იმედიც გვაქვს.

ეს ბრიტანული საჯინბოები „სკუდერიასთან“ კატასტროფული ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად მელბურნში ბოლის დღეს 18-გზადუსიან სივრცეს ასახელებენ. დაბალი ტემპერატურისას „ბრიჯსტონის“ საბურავები უკეთ მუშაობს, ვიდრე მათი „მიშლენი“. ხვალ კუალა ლუმპურში ტროპიკული სიცხის ეიმედებათ, ეს ჩვენი კოზირი იქნება. სინოპტიკოსებმა დღეს, კვლითეკაციისას თავსნმა იწინასწარმეტყველეს, რბოლის დროს კი სიმშრალეს და 35 გრადუსს „პირდებან“.

მიშლენიანებმა უკვე გუშინდელ თავისუფალ ვარჯიშზე გამოაჩინეს ბრჭყალები. მელბურნში გამარჯვებულმა მიხაელ შუმახერმა ივარაუდა, რომ მას და რუბენს ბარიკელის მალაიზიაში იმხელა უპირატესობა აღარ ექნებოდათ: „ერთული რბოლა გველის ტრასაზე, რომელიც „ფერარის“ ნაკლებად უხდება. ამდენად, სწორედ „სეპანგზე“ გამოიჩნდება ჩვენი მანქანის რეალური შესაძლებლობა. თუ აქაც მეწინავეთა შორის ვიქნებით, გამოდის, რომ წლევანდელ სეზონში გუნდს პირველობის კარგი შანსი აქვს.“

მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს სირთულეები გუშინვე შეექმნა. არადა, დილით პირველ ცდაზე ყველაზე სწრაფები სწორედ მისი და რუბინიოს ბედაურები იყო. ორსაათიანი შესვენების შემდეგ, როცა ასფალტი 50 გრადუსამდე გავარვარდა, შუმში მეროე გასვლაზე თავისი შედეგი ნახევარი წამით გააუარესა და მეოთხე პოზიციამდე ჩამოქვეითდა. საუკეთესო დრო ტრასის ახალი რეკორდით კიმი რაიკონენმა აჩვენა. მეროე და მესამე შედეგიც „მიშლენის“ კლიენტებს — რალფ შუმახერს და მარკ ვებერს ჰქონდათ. ბარიკელომ დილა-



კიმი რაიკონენმა გუშინ „სეპანგის“ რეკორდი გააუმჯობესა

ნდელი დრო გაიმეორა, თუმც ამჯერად მხოლოდ მეათე აღმოჩნდა. „ფინლის კაცი“ კიმი, ცხადია, კმაყოფილია: „ჯერ ყველაფერი კარგადაა — მე პირველი ვარ და ურიგო შანსი არაა, რომ ეს ადვილი კვალითეკაციის მერე შევინარჩუნო. რა თქმა უნდა, რბოლის მოგების სურვილიც მაქვს, მით უმეტეს, რომ შარშან „სეპანგზე“ მოვიპოვე ჩემი პირველი დიდი პრიზი.“

„უილიამსი“ ბანაკშიც ოპტიმისტური განწყობაა. ნირჟამზდარი არც მიხაელია, ვარჯიშის შედეგები ბევრს არ ნიშნავს, მთავარია, დაგეგმილი სამუშაო სრულად შევასრულოთ. კუალა ლუმპურის ულტრათანამედროვე ავტოდრომზე რბოლები 1999 წლიდან ტარდება და მიხაელ შუმახერი უქულოდ ერთხელაც არ დარჩენილა.

გუშინდელი „თავისუფალი პრაქტიკის“ პირველი ათეული	
1 რაიკონენი (მაკლარენი)	1.34,39
2 რ. შუმახერი (უილიამსი)	+0,30
3 ვებერი (იაგუარი)	+0,66
4 მ. შუმახერი (ფერარი)	+0,70
5 მონტოია (უილიამსი)	+0,71
6 ტრული (რენო)	+0,72
7 მასა (ზაუბერი)	+0,89
8 ალონსო (რენო)	+0,90
9 კულჰარდი (მაკლარენი)	+0,91
10 ბარიკელო (ფერარი)	+0,98

სამოა და დიდი გუა ახალი ზელანდია სარაგბო მბაცებელია?



სამოას რაგბის კავშირი ისე დაიბანა, შინ ტესტის გამართვა უჭირს

შეცდომა: სამოურ რაგბის ემუქრება ახალზელანდიური რაგბის სატელიტად ქცევა.
სწორია: სამოური რაგბი უკვე იქცა ახალზელანდიური რაგბის სატელიტად.
შეჩვეულ ჭირზე, ზე-12-ის გუნდ-

ბისა და თვით მეთამძლე „ოლ ბლექსიგან“ ნიჭიერი მოთამაშეების მოტაცებაზე საუბარი მრავალი წლის წინ მოძველდა. გაძვალტყავებული მანუ-სამოას რაგბის მოხელეებმა, მეზობელ ფიჯელ და ტონგელ კოლეგებთან ერთად ზედ მსოფლიოს თა-

სის წინ ზარბიც კი დაარსდნენ, არიქ, რაგბის კავშირები გლარ ვზიდავთ საკუთარ თავს და რამე გვა-საშველოთ. ესა შეველებდნენ, აბი, რას იზამდნენ, ამ საბაგბო მსოფლიოებს ოკეანეში ხომ არ გადაყრიდნენ. მაგრამ ოკეანეშიც სამოულს კიდევ ბევრი უკლია დალხენილ ყოფა-ცხოვრებამდე. რა ქვეყანაა, ვისაც საკუთარ კარ-მიდამოში სტუმარი ვერ მიუღია და ტესტი ვერ გაუმართავს? სამოა ამ ზაფხულს, 4 ივნისს შოტლანდიის ნაკრების მიღებას აპირებდა და ალბათ მიიღებს კიდევ, ოღონდ არა შინ აპი-აში, არამედ ახალი ზელანდიის დედაქალაქ ველინგტონში. სავსე ტრიბუნები გარანტირებულიაო, ამბობს სამოელი მოხელე იეტი ტიატია, რაკილა ახალ ზელანდიაში 115 ათასი სამოელი მოსახლობს. მართალია, დიდი ნაწილი ქვეყნის ავანპორტ ოკლენდშია, მაგრამ სამხრეთ კუნძულზეც ბევრი ყოფილან. მარტო ველინგტონში 20 ათასი ჩვენებურიაო. კეთილი, მაგრამ სამოაში დრჩენილ სამოელებს რაღა? იმათ ისლა დარჩენიათ, კუნძულებს შერჩენილ მოყვარულებს და ბავშვებს უყურონ. ველინგტონის რაგბის გამრიგე მალოკოლმ ჰოლომსი სამოელებს სთავაზობს, მზად ვართ, სხვა ტესტებისთვისაც დავიმოთ ჩვენი სტადიონიო. ესენი კი ჯერჯერობით სდუმან და არ გეგმავენ სხვა სტუმართა ახალ ზელანდიაში „მასპინძლობას“.

კოტა ყოფნია

PACIFIC LIFE OPEN ინდიან უელსი. მაგარსაფარი. კაცები. საპრიზო 2,78 მილიონი \$

ყველანი ვისიამოვებით აბასი და ფაღარემა ურთიერთსოტებით დაიფყოს

ამოთხედილი
როჯერ ფაღარემა (1, შვეიცარია)
— ხუან იგნასიო ჩელა (32, არგენტინა) 6:2, 6:1; ანდრე პაპანი (5, აშშ)
— გილერმო კორია (4, არგენტინა) 6:4, 7:5

ქალები.
საპრიზო 2,1 მილიონი \$

ამოთხედილი
შუსტინე ენდ-ბრდანი (1, ბელგია) — სვეტლანა კუზნეცოვა (12, რუსეთი) 6:4, 7:5; ანასტასია მიხაილია (4, რუსეთი) — კონიტა მარტინენსი (11, ესპანეთი) 7:6 (7:2), 2:6, 6:3

საქმე ისე აეწყო, რომ ამქრის საპატიო ოღრაში ანდრე ავასი და ამჟამინდელი ჯადო პირველოსანი როჯერ ფედერერი ერთმანეთს ნახევარფინალში შეხვდებან. ეს მათი მეექვსე შეხლა იქნება და, თუკი წინა ხუთიდან პირველ სამში არმენოამერიკელი უპირატესობდა, მათი ბოლო ორი შეხოგება — შარშანდელი პიუსტონური მასტერს-თასის ჯგუფური მატჩი და ფინალიც 22 წლის დახვეწილმა ალპელმა მოიგო.

ფედერერი ამჟამად მართლაც ზღაპრულ ფორმაშია — კორტზე უჩვეულოდ მსუბუქად მოძრაობს, ორივე მხრიდან უეშხიანესად აყუმბარებს და თუკი შარშანდელივე პიუსტონობიდან დაეჯამებთ, უკანასკნელ 26 შეხვედრაში მხოლოდ ერთი მატჩი (როტერდამულ მეოთხედფინალში ჰენმანთან) დაუთმია. ინდიან უელსში კი მეტოქეებს სულაც ისე ატრიაზავებს, როგორც გამაძლარი ჯვადო კატა წრუწუნობელებს. თავად განსაჯეთ, ნახევა-

რფინალამდე ისე მიატანა, მეტოქეებმა ჯამში 15 გეიმზე მეტი ვერ გააგდებინეს.
როგორც თავად ამბობს, მისთვის უფრო მეტის გამგდებინებელი არც ანდრე ავასი უნდა იყოს: „ანდრე ის მაგრად მჩაგრავდა, 2001 წლის აშშ-ის ღია პირველობაზე 6:1, 6:2, 6:4-ც კი გადამარა. მაგრამ ბოლო დროს მის თამაშს ალღო აველე და აღარ მეშინია. ისე კი კარგი მატჩი უნდა გამოდგეს, რაკილა ანდრე რევანშის აღებას ეცდება. ენახოთ, თქვენც უნდა ისიამოვნოთ და ჩვენც.“

სიამოვნება, იცოცხლებო, ნაღდად გველის. მართალია, ანდრე ავასი მომავალ თვეში 34 წლისა გახდება, მაგრამ თავისზე 12 წლით უმცროს ჭაბუკებთან ტოლსწორად და ხშირად აღმატებულად წაროგნავების არც იშტა განვლებია და არც უნარები დაუკარგავს. იმ დღეს დამეული მატჩებისთვის სარეკორდოდ მრავალრიცხოვანი — 13 395-კაციანი მილეითის თვალწინ უმარდეს გილერმო კორიასაც დამაჯერებლად გაუსწორდა.

მაგრამ ფედერერთან მატჩის წინ რეგავის სლემტიტულოსანი არმენოამერიკელი მაინც ფრთხილობს და ძირითადად მეტოქისადმი ხოტბის აღვლენით შემოიფარგლება. „ეს ბიჭი საუცხოო ჩოგბურთს თამაშობს — ამბობს იგი — მას სრულყოფილი არსენალი აქვს და სწორედ ამის გამო, რომ თამაშის რაგინდარანაირად წარმართვა ჩოგანეწიფება, ვფიქრობ, კარიერის ბოლომდე მრავალ სლემტიტულს დაიგროვებს.“

სხვაფრივ შეგახსენებთ, რომ ეს ავასის მე-16 ინდიანუელსობაა. მას იქ უკვე სამ ფინალში უპაექრია და ტიტული მხოლოდ ერთხელ, 2001 წელს მოსისხლე დოსტ-რაციფის პიტ სამპრასის ძლევიტ მოურეწავს. ფედერერი კი პირველი შვეიცარიელი კაცი გახლავთ, ინდიანუელსურ ნახევარფინალში გასვლა რომ შეძლო.

რაც შეეხებათ ქალებს, აქ ამქრის ჭინკა პირველოსანმა უუსტინენ არდენმა 18 წლის რუსოგოვ სვეტლანა კუზნეცოვაზე ორიოდ კვირის წინ ყატარულ ნახევარფინალში ნაწვენევი მარცხისთვის იძია შური. ცოტა ვნერვიულობდიო, აღიარებდა ნამამატჩევის ენენი — ეს გოგო ხომ ერთადერთია, ვინც წლეულს ჩემი დამარცხება შეძლო.

ჰოდა, არ შეარჩინა. არადა, წლეულს ისინი ერთმანეთს უკვე მეოთხედ ხვდებოდნენ.

საერთოდ კი იმ ერთი მარცხის წილ ენენს წლეულს ოცი გამარჯვება (და სამი ტიტული) მოემეკება. უფრო მეტის შოვნაში მას ჩოგანს ჯერ კუზნეცოვას 22 წლისთვისოში ანასტასია მისკინა შეუშლის, ვინაც იმ დღეს თავისზე 9 წლით უფროსი ესპანელი კონიტა მარტინენსი მიაიმასქნა, ფინალში კი ან ლინდსი დეკენპორტი ანაც ნატალი დეში.

კაცთა დარჩენილ სანახევარფინალსოგებებს კი — უნდა განსოვდეთ — ერთ წყვილში ირაკლი ლაბაძე და ჯეიმს ბლეიკი, ხოლო მეორეში ენდი როდიკი და ტიმ ჰენმანი გაითამაშებენ.

ლემან კელაშაპი



ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის სპორტული ბაზების მშენებლობის დამთავრების მოსწრება-არმოსწრების თაობაზე ერთხანს თითქოს ჩაცხრა ვნებათაღელვა, მაგრამ ბოლოს ისევ ახალი ძალით იფეთქა. მგონი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ნანობს კიდევ, რომ ათენს ამ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პატივი უბოძა

პირაკლეს ფარი ბერძნები გახსნამდე დახურვას ვერ ასწრებენ

საქმე ისაა, რომ 39 სპორტული ბაზიდან სრულ მზადყოფნაში მხოლოდ თხუთმეტია. გრაფიკს ძალზე ჩამორჩება საფეხბურთო სტადიონი „კარაისკაის“ მშენებლობა, მთავარი ოლიმპიური სტადიონის გადახურვითი სამუშაოები და სხვა სპორტული ბაზების გამართვა. ამას ემატება სატრანსპორტო სისტემის გაუმართაობა, რაც შესაბამისი მოთხოვნებისგან ჯერ კიდევ შორსაა.

საბერძნეთის ახალი ხელმძღვანელობა მშენებლობის ტემპების შეფერხებაში და გრაფიკის ჩაგდებაში თავის წინამორბედს ადანაშაულებს და გვპირდება, რომ უახლოეს ხანში პრობლემას გადაჭრის.

და ამ დროს მთავარი ოლიმპიური სტადიონის მშენებლები, რომელთა ნახელავზე 15 აგვისტოს ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალი უნდა გაიმართოს, ცეცხლზე ნავთს ასხამენ, ამ ობიექტს 20 ივლისზე ადრე ვერაფრით ჩაგაბარებთო. შემოფოტებული ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი მშენებლებისგან წერილობით გარანტიებს ითხოვს.

საქმე ისაა, რომ თუ მშენებლობა ასეთი ტემპით გაგრძელდება, სტადიონი უთალოდ დარჩება. და თუ აქ ყველაფერი 30 ივლისამდე არ დასრულდება, მაშინ აღარ მოესწრება ამ სტადიონისა და მისი მეზობელი ობიექტების გამწვანება. თუმცა, გამწვანებას ვინ ჩივის, როცა ამ მთავარ სარბიელზე ვერც ტელეკომპანიები მოასწრებენ საჭირო აპარატურის დამონტაჟებას და ვეღარც უშიშროების სამსახურები.

არადა, ოლიმპიადის უშიშროების საკითხები შემაშფოთებლად მომრავლებული ტერაქტების ფონზე მეტად დამაფიქრებელი ჩანს, რაც ოლიმპიადის ორგანიზატორებს უპრეცედენტო გადაწყვეტილებებისკენ უბიძგებს. საბერძნეთის მთავრობამ დახმარებისთვის უკვე მართა ნატოს ძალებს.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა

სამინისტრო იუწყება, რომ მათი ნატოსადმი მიმართვა ითვალისწინებს საპაერო კონტროლსაც და ბირთვული, ბიოლოგიური თუ ქიმიური საშიშროების თავიდან აცილების უზრუნველყოფასაც.

ისიც უპრეცედენტო გადაწყვეტილებაა, რომ საბერძნეთის ხელი-სუფალნი ნებას რთავენ ისრაელის უშიშროების სამსახურის „შინ ბეტის“ თანამშრომლებს, რომ მათ თავიანთი დელეგაცია საკუთარი შეიარაღებითაც დაიცვან. წინათ ამგვარი რამ წარმოუდგენელი იყო. ამას საბერძნეთის წინა მთავრობაც ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ახალმა მთავრობამ კოსტას კარამანლოსის მეთაურობით ასეთი გადაწყვეტილება ამას წინათ მადრიდში დატრიალებული საშინელი ტერაქტის მერე მიიღო.

ახლა ვარაუდობენ, რომ საკუთარი ეროვნული შეიარაღებული დაცვა ეყოლებათ „მაღალი რისკის“ მქონე ქვეყნების, მათ შორის აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, ესპანეთის, ინდოეთისა და სხვა ქვეყანათა დელეგაციებს.

ამასობაში ათენის ოლიმპიადის მონაწილეთა და სტუმართა უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დაიწყო მასშტაბური ანტიტერორისტული მეცადინეობა, რომლის კოლერი სახელწოდებაც არის „ჰერაკლეს ფარი“.

ამ სწავლებაში საბერძნეთის უშიშროების 1500 თანამშრომელი აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ისრაელის და კანადის 500 სამხედრო მომსახურესთან ერთად ჩაება. მათი მთავარი ამოცანა ყველა სამსახურის ურთიერთკოორდინირებული მოქმედებაა, რამაც ოლიმპიადის მშვიდობიანი დღეები უნდა უზრუნველყოს. სწავლება ატიკის ოლქში, აგრეთვე სალონიკში, პატრამში, ვოლოსში და ირაკლიონში მიმდინარეობს — იმ ქალაქებში, სადაც ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირები უნდა გაიმართოს.


ავთანდილ ხაჭიფაილი

ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. III ტური. 17-18 მარტი

ჩვენს აღარა ხარ, მტრჩა!

ბოლირობას ათენში ბაღრაბი დასჭირდება



დვიან ბოლიროვა

ათენი ზარზემით შეხვდა ყოფილ კერპ დვიან ბოლიროვას, რომელიც „პანათინაკოსთან“ საბერძნეთში „ბარსელონას“ მასურით ჩავიდა. ბოლიროვამ „მწვანეებს“ შარშანწინ ევროლიგა მოაგებინა, მერე კატალონიამ გადაბარგდა და გუშინ პირველად თამაშობდა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ.

„შენ ერთ-ერთი ჩვენგანი ხარ!“ — ამგვარი ტრანსპარანტებით იყო ტრიბუნები მორთული. მატჩის დაწყებამდე ათენელები სიმღერებს უძღვნიდნენ და სიყვარულს ეფიცებოდნენ ევროპის „ჯორდანს“.

ბოლიროვამ შინაურივით შეაბიჯა „პანათინაკოსის“ გასაგდელში, ყოფილ გუნდლებსა და მწვრთნელებს მიეფერა, მერე კი მოედნის განაპირას სახელდახელოდ მისთვის მომზადებული რაღაც ძვირფასი ბერძნული საჩუქარიც ჩაიბარა. მოკლედ, ათენმა ბოლიროვა გულში ჩაიხუტა, ნამატჩევეს კი აღარავის ახსოვდა შუნი კერპი. წაგებით დაბოდიში ელინი მაყურებლები გულში ალბათ აგინებდნენ კიდევ მას.

თუმცა ბოლიროვას მთლად საგინებლად არ „გაუხდია“ საქმე, მხოლოდ 10 ქულას „დასჯერდა“.

ფანატიზმის სიმპტომებით შეპყრობილი ბერძენი ფანები მიზანში უფრო კარლოს ნავაროს ამოიღებდნენ, რომელმაც ყველა სტუმარზე მეტად გაუშრო სისხლი დამხვდურებს და თამაში 25 ქულით დაამთავრა.

„ბარსამ“ ულაპარაკოდ მოუგო შარშანწინდელ ჩემპიონს. წინა ტურში შინ „ბენეტონთან“ მარცხის შემდეგ მოქმედი ჩემპიონის ათენში განაგარდება სწორედაც რომ მოსალოდნელი იყო. თავისი მატჩი მოიგო „ბენეტონმაც“, რომელიც „ბარსასთან“ ჭიდილში ეცდებოდა ოთხთა ფინალის საგზურის მოპოვებას.

ჩვენებურის ამბავიც ვიკითხოთ. თუმცა საკითხავიც არაფერია, ვლადიმერ ბოისა „ოლიმპიას“ განაცხადში ვერ აღმოვჩინეთ. ვოვას არც ტრავმა აქვს და საფრანგეთშიც ჩაჰყვა ლიუბლიანელებს, მაგრამ მოედანზე რატომ არ გავიდა, ეს მისმა უმცროსმა ძმა ტოლიკამაც არ იცოდა — თამაშის შემდეგ დამირეკა, მაგრამ ამის შესახებ არაფერი უთქვამსო.

„ოლიმპიამ“ კი პოში წააგო, სადაც პირველ ჯგუფურ ეტაპზე ემარჯვა და იქ ახლაც იმედიანად ჩასულიყო. ლიუბლიანელებს ჯგუფში გასვლის მოგების ყველაზე რეალური შანსი სწორედ პოში ჰქონდა, მაგრამ ვერ მოახერხეს და ჯგუფიდან გაძვრომის იმედიც ალბათ ამ წაგებას გააყოლეს.

ვინ იმედს კარგავს და ვინ პოულობს — მოსკოვის ცსკა-მ, ერთადერთმა დაუმარცხებელმა გუნდმა მეორე ეტაპზე, ძვირფასი გამარჯვება იზეიმა ვიტორიაში, რითაც გვარიანი ავანსი მიიღო საოთხთაფინალად.

სამწვრთნელო დონეზე ეს მატჩი სერბული დუელი გახლდათ — დუშან ივკოვიჩის ცსკა დუშკო ივანოვიჩის „ტაუს“ წინააღმდეგ. ჯახი ერთობ დამაბული გამოდგა და ბოლო წუთის დრამა არმეილთა ზეიმით დასრულდა. სამი ქულით ჩამორჩენილ „ტაუს“ 10 წამი ჰქონდა გასათანაბრებლად, მაგრამ არვიდას მასიაუსკასმა 3-ქულიანი ვერ ჩააგდო.

D ჯგუფი					
ტაუ 77:80 (3საბ)					
ტაუ:	სკოლა (20),	მასიაუსკასი (15)			
ცსკა:	ბრაუნი (22),	პოლ დენი (17)			
ციგონა 62:68 ოლიმპიკოსი					
ციგონა:	კრაშიჩი (15),	პოპოვიჩი (14)			
ოლიმპიკოსი:	პარიხი (12)				
ცსკა	3	3	0	+24	6
ტაუ	3	2	1	+5	5
ოლიმპიკოსი	3	1	2	-10	4
ციგონა	3	0	3	-19	3

F ჯგუფი					
პანათინაკოსი 66:34 ბარსელონა					
პანათინაკოსი:	ბაქისტი (14)				
ბარსელონა:	ნავარო (25),	ილევსკი (18)			
აენატონი 91:52 სინეა					
აენატონი:	გარბახოა (21),	ევანსი (19)			
სინეა:	კაკიუხისი (19),	ტორნტონი (15)			
ბარსელონა	3	2	1	+13	5
აენატონი	3	2	1	+6	5
სინეა	3	1	2	+11	4
პანათინაკოსი	3	1	2	-30	4

E ჯგუფი					
პო რტაზი 83:77 ოლიმპიკა					
პო რტაზი:	ლუკოვი (18),	პეტროვი (14)			
ოლიმპიკა:	პეტროვი (26),	რაპიჩი (24)			
პო რტაზი განაცხადში არ იყო					
ეფსი 72:70 სპიპარი					
ეფსი:	ნიკოლიჩი (18),	კუქო (14)			
სპიპარი:	ვუიანიჩი (24),	ბაზილე (14)			
სპიპარი	3	2	1	+12	5
ეფსი	3	2	1	+11	5
ოლიმპიკა	3	1	2	-3	4
პო რტაზი	3	1	2	-20	4

G ჯგუფი					
მაკაბი 90:76 ულქერი					
მაკაბი:	ვუიჩიჩი (21),	ბასტონი (17)			
ულქერი:	რენცი-ასი (14)				
პამსა 85:76 შალბირისი					
პამსა:	რიგოდი (21),	მონტეჩია (14)			
შალბირისი:	ბერდი (20),	საბონისი (13)			
მაკაბი	3	2	1	+21	5
შალბირისი	3	2	1	+11	5
პამსა	3	2	1	-2	5
ულქერი	3	0	3	-30	3

შინ ტრიუმფით დასაბრუნებლად დიდი ნაბიჯი გადადგა თელ ავივის „მაკაბი“, ოთხთა ფინალის მასპინძელმა. ებრაელებმა თურქული „ულქერი“ იოლად დაჯახნეს და რაკი „შალბირისი“ ვალენსიაში დამარცხდა. C ჯგუფში პირველობენ.

ირაკლი პეტრია

NBA		რეგულარული ჩემპიონატი	
18 მარტი			
მეფისი 94:97 სინტლი	ნიუ ჯერსი 71:89 დეტროიტი	სან ანტონიო 106:86 მინსოტა	
მეფისი: გასოლი (21 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი), პოუზი (13)	ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (19), მარტინი (19), კიტლზი (13)	სან ანტონიო: დანკანი (22 ქულა, 10 მოხსნა), პარკერი (16), ჯინობილი (13)	
სინტლი: ალენი (19), რადმანოვიჩი (19)	დეტროიტი: ბილაფსი (20), რ. ვოლესი (16), პამილტონი (15)	მინსოტა: გარნეტი (28 ქულა, 12 მოხსნა), კასელი (21), შერბიაკი (14)	

NHL		რეგულარული ჩემპიონატი	
18 მარტი			
ოტავა 2:0 კოლორადო	გოსტონი 0:2 მინსოტა	კალგარი 2:0 კოლუმბუსი	
ოტავა: შეფერი (3), 2:0 რედენი (14)	გოსტონი: 0:0 0:1 0:1	კალგარი: 0:0 1:0 1:0	
ტამა 3:1 ვუვალო	ვაშინგტონი 4:3 რაიონჯერსი	ლოს ანჯელესი 3:5 სან ხოსე	
ტამა: 0:0 1:1 2:0	ვაშინგტონი: 1:2 0:0 2:1 1:0	ლოს ანჯელესი: 2:2 1:2 0:1	
სტილმანი (36), 1:1 ჰესტი (37), 2:1 ტეილორი (41), 3:1 სან სუი (60)	რაიონჯერსი: 0:1 0:1 0:1	ლოს ანჯელესი: 1:0 0:1 1:0 0:0	
ფილადელფია 2:3 ტორონტო	დალასი 3:0 ვანკუვერი	ფინიქსი 1:1 დეტროიტი	
ფილადელფია: 0:1 0:1 2:1	დალასი: 1:0 2:0 0:0	ფინიქსი: 0:0 0:1 1:0 0:0	
რობერტსი (16), 0:2 ლიჩი (27), 0:3 ლიჩი (45), 1:3 ლეკლერი (56), 2:3 იუმონი (58)	ვანკუვერი: 1:0 2:0 0:0	დეტროიტი: 0:0 0:1 1:0 0:0	
	დეტროიტი: 0:0 0:1 1:0 0:0	ფინიქსი: 0:1 შენაპანი (32), 1:1 ვესტრუმი (43)	



ბერძენ ხელოსნებს მთელი საქმე წინ აქვთ

საქართველო VS ჩხეთი

20 მარტი. თბილისი. «აროვნული». 16 საათი

საქართველო

15 ბარკალია, 14 შკინინი, 13 ზიბზიბაძე, 12 ფირფილაშვილი, 11 გუგავა, 10 კვინიძე, 9 კვიციანი, 8 უდესიანი, 7 ჩხაიძე, 6 ხ. მასიურაძე, 5 გორგოძე, 4 ზედგინიძე (კაპ), 3 ჭავჭავაძე, 2 დაღუნაშვილი, 1 მთიულაშვილი
სათადარიგოები: 16 კუთარაშვილი, 17 ესაკია, 18 ფლექსი, 19 პაპაშვილი, 20 სამხარაძე, 21 ანდრეაძე, 22 პინუკოვი

ჩხეთი

შტასტნი, რაბანტი, შუსტერი, ვოვეში, ნემეჩვი, მახაჩვი, ვონდრაშვილი (კაპ), პეკაჩვი, სიროვი, ბრაბევი, კრეჩი, პეკარევი, ფაკი, იაგრი, როლივი
სათადარიგოები: სკალი, კოლაჩვი, ჰულმენტი, ზელენკა, დოსედა, ჩამრდა, იურსიკი
მოთამაშე მწვრთნელი: იან მახაჩვი

შეკრულ ჩხეთს თამაშს გავუშლით ჩხეთი: არა გიშავთ ქართველები: ვართ რა

ერთა თასის მეოთხე ტურში თბილისში ბორჯღალოსნები ჩხეთის ნაკრებს უმასპინძლებენ. ჩვენი მეტოქე ტურნირის აუტსაიდერად კი ითვლება, რაკი ერთა თასზე მარშალ ჩხეზბა მარშალ ნორმალური გუნდის შთაბეჭდილება დატოვებს და ესპანელებისა და რუსების ძლიერ საკვებით დაიმსახურეს ევროპის მეორე ექვსეულში ყოფნა.

ერთი სიტყვით, ჩხეთი ძალიან ძლიერი გუნდი არაა, თუმცა სიურპრიზების გაკეთება კი ეხერხება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უსუსტესი ესპანელები წლეულს ჩვენს ექსპერიმენტულ ნაკრებს თანაბრად ეთამაშვნენ, ზედა ჩხეზბთან ხელწამოსაკრავი მატჩი არ უნდა იყოს. მით უმეტეს, დღეს ბორჯღალოსნებს არაერთი წამყვანი მოთამაშე დაკლდა.

გუშინ ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ბოლო ვარჯიში გამართა მოეხსენებათ, „ლელოები“ „ლოკომოტივიდან“ აბარგდნენ და წლეულს ბოლო სტუმარს „ეროვნულზე“ დაუხვდებიან. ბოლო ვარჯიში ერთობ უჩვეულო სქემით ჩატარდა. ნაკრების ერთ-ერთმა დამრიგებელმა დავით ჩავლეიშვილმა აგვისნა, წინა მატჩებისაგან განსხვავებით, ჩხეზბთან მეტად ხელით თამაშს, იგივე „ფრანგულ სტილს“ ვანიჭებთ უპირატესობას. ქართველთა შტაბი მეტოქეს, მხოლოდ მარშალდელი თამაშებიდან იცნობს. იოლი ბრძოლა არ იქნება, გუნდში

ბევრი ახალწვეულიც გვყავს, ასე რომ, ვნახოთ, ვფიქრობთ, მოვიგებთო — გვითხრა ჩავლეიშვილმა. მწვრთნელისგან განსხვავებით, დამდეგ თამაშზე კომენტარს არ აკეთებენ ნაკრების წევრები. კაპიტანმა ილია ზედგინიძემ ისიც გვითხრა, ხელმძღვანელობა გვიკრძალავს წინასწარ რაიმე აზრის გამოთქმას, ამიტომაც მატჩის შემდეგ ვისაუბროთ.

საქმეში ჩახელულთა აზრით, ახლა მეტად სანახაობრივი რაგბი ელის გულშემატკივარს, რადგან მწვრთნელებს ხელით თამაში დაუგეგმავთ. ვარჯიშზე აზერბაიჯანის ნაკრების თავაკაცი გურამ მოდუბაძეც შენიშნა. კითხვაზე, ამდენი ახალი მოთამაშეების გამოცდაზე რას იტყვითო, მან გვიპასუხა — „მწვრთნელებს წლეულს ყველას გამოცდა უნდა, რათა გაისად ჩამოყალიბებული გუნდი შეკრან, 2005-06 წლებში მსოფლიოს შესარჩევ ტურნირებში ღირსეული ნაკრები რომ გვყავდეს. როცა ჩემს დროს რუსეთთან ვვქონდა თამაშს, ტაქტიკაზე არაფერი ფიქრობდა ვითვლიდით დღეებს, საათებს, წამებს და გავდიოდით საბრძოლველად ჩხეზბს რაც შეეხებოდა, ვფიქრობ, დიდი ანგარიშით მოუვებოთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდის მესამე ხაზი რაღაც სასურველად ვერ გამოიყურება.“

ნაკრების ექიმმა კოტე კოლაძემ დამკამყოფილებლად შეაფასა ბიჭების ჯანმრთელობა, თუმცა მიკრო-ტრავმებზეც მიაჩნა. ზედგინიძესა და ჩხა-

იძეს შესაბამისად ქუსლი და მუხლი აქვთ დაზიანებული, მაგრამ მაინც ითამაშებენ. ნაკრების კანდიდატმა რევაზ ბელქანიამ, რომელიც ახლა მხოლოდ მაცურებელია და თავისთავად არაფერს აუკრძალავს მატჩის წინ აზრის თქმას, ვარჯიშის ხარისხზე გაამახვილა ყურადღება — „ნაკრები ადრინდელთან შედარებით უკეთ გამოიყურება. ზედა უეჭველად მოვიგებთ. რაც შეეხებათ ჩხეზბს, როგორც ზედგინიძისგან ვიცო, მარშალ ჩხეზბს გასჭირვებითა პრალაში, რადგან პირველი ტაიმი ფრედ დასრულდა. ასე რომ, მაინც დაძაბული მატჩი გველის.“

ბორჯღალოსნების ვარჯიშიდან „ლოკომოტივის“ სტადიონზე გადაინაცვლოთ, სადაც გუშინწინ ჩამოსული ჩხეთის ნაკრები გუშინ ვარჯიშობდა. პირველი შთაბეჭდილებით მეტოქე საქმოდ შეკრულ, შეთამაშებულ გუნდს წარმოადგენს. სისწრაფე, დინამიკური რაგბი და, რაც მთავარია, დისციპლინირებული ვარჯიში, აი, ის, რაც პრველივე შეხვედრით ჩანდა.

დელეგაციის ხელმძღვანელი მილან რაზგა: „ქართველებთან თამაში ჩვენითვის დიდი პრაქტიკაა. მე ვესწარბოდი ავსტრალიაში თქვენი ნაკრების თამაშს და ვფიქრობ, კარგი გუნდი გყავთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, მოგება გვინდა, თუმცა ვნახოთ, წინასწარ არ გავაკეთებ პროგნოზს. ერთ კვირაში პრალაში ესპანეთთან გვაქვს მატჩი. აი, იქ კი ასპროცენტთან მოგებას ვეგეგმავთ. ჩვენი ნაკრებიდან მოთამაშე-მწვრთნელ იან მახაჩვის და 10 ნომერ მარტინ კაფკას გამოვარჩევ ასევე უძლიერესი მესამე ხაზი გვყავს.“

ინფო ლეშავა



ვარჯიშზე ჩხეთი შეკრულ და ყოჩად გუნდად გამოჩნდა



ინგლისის ინგლისში წამქვევი ირლანდიის აქციებმა აიწია

რაგბისთანა ლოგიკურ სახეობაში ერთი „არასწორი“ შედეგიც ამდგრევეს წყალს. მოუგო, აგერ, ინგლისის მისსავე „თვიქნემზე“ ირლანდიამ და ექვსი ერის წლევეანდელმა ვათამაშებაც გვარიანი ინტრიგით დაიმუხტა

ამდგრეულ წყალში ინგლისის თივზია

- 20 მარტი. დუბლინი
ირლანდია — იტალია
20 მარტი. თვიქნემი
ინგლისი — უელსი
21 მარტი. ედინბურგი
შოტლანდია — საფრანგეთი
საფრანგეთი: ბრუსკი, ელორგა, ჟოზიონი, ტრაი, დომინისი, მიშალაკი, იაშვილი; ლივრემონტი, მანი, ბესენი, პაპე, პელუ (კაპ), დე ვილურსი, სერვა, მარკონე



„მამლებს“ ჟან-ბაბტის ელისაღდე დაემტვრათ

სამი ტური გავიდა და ჯერ მხოლოდ ფსკერის ბინადართა ვინაობა გაირკვა. იტალიასთან დამარცხებით სქოთებმა სერიოზული განაცხადი გააკეთეს „ხის კოვზზე“, რომელიც „საზეიმო ვითარებაში“ გადაეცემა არცთუ მოზიემე ყველა მატჩის წამებას. ახლა სქოთები, კვირას შინ ალბათ წააგებენ ფრანგებთან. 27 მარტს ბოლო წლებში მადაზე მოსულ ირლანდიასთან თამაშში არცთუ ნათელი პერსპექტივაა. თავისთავად სქოთების ბოლო ადგილი ჩვენი ვარაუდია, ისევე როგორც იტალიის მეუთეობა. აი, ცხრილის ზედა ნაწილში კი ყველაფერი აწეწილია. ორმარცხიან უელსს აღარაფერი ეშველება, მით უმეტეს, დღეს ინგლისი გადაყავას უბირებს, სხვებისთვის კი ყველაფერი ახლა იწყება. მსოფლიოს ჩემპიონთა „თვიქნემში“ გმირული ძლიერით ირლანდიელმა „სამყურებმა“ 1985 წლის შემდეგ მოუპოვებელი ტიტულის მიპოვების შანსები დაიბრუნეს. ხომ შეიძლება, საფრანგეთმა ინგლის ვერ მოუგოს? თავისთავად შეიძლება და ასეთ შემთხვევაში ირლანდიასაც, ინგლისსაც და საფრანგეთსაც ოთხ-ოთხი გამარჯვება უგროვდებათ თითო მარცხის წილ. შემდეგ კი ჩემპიონის გამოსავლენად ქულობრივი ბალანსები შეგვერდება. ასე რომ, დღეს დუბლინში იტალიას კარგი დღე არ დაადგება. ინგლისი „თვიქნემში“ იმ უელსს

მასპინძლობს, რომელსაც მსოფლიო თასის მეოთხეფინალში ჯადო ჯონი უილკინსონის მარჯვე მარცხენის წყალობით გადაურჩა. დღეს ინგლისს უილკინსონის იმედი ვერ ექნება, ჯონი მხრის ოპერაციის გამო წლეულს მთლიანად ტოვებს ექვს ერს. აქვე სათქმელია, რომ „ვარდებს“ დაემტვრათ ჯონის შემცვლელი პოლ გრეისონიც. 10 ნომრად „ბათის“ ოლი ბარკლი ითამაშებს. ანაც შესაძლოა ეს ადგილი მაიკ ქეთიმაც დაიჭიროს. „ვარდებს“ დაუმრუნდათ ძირითადი 12 ნომერი მაიკლ ტინდალი, მხოლოდ ის უელსთან ვარე შუამარბ უილ გრინუდს (13 ნომერი) ადგილს გაუცვლის. თავის ადგილს დაუმრუნდება მოუხელთებელი ჯეისონ რობინსონი (15) და უელსელ „დრაკონებს“ ზურგიდინ დაარტყამს. ფრანგებს შოტლანდიაში არ ჰყავთ ძირითადი 8 ნომერი იმანოლ არი-ნორდოკი, რაც თავისთავად დანაკლისია. სამაგიეროდ, „მამლებს“ მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა კვლავ უნმო ეშმაკ და მრავალ ტესტზე გადამტარ ფლანკერ ოლივიე მანის უელსში გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე შერკინების ნახევარმცველი ჟან-ბაბტის ელისაღდეს ტრავმის გამო შერკინებაში ბურთის დიმიტრი იაშვილი შეიტან-გამოიტანს

აპროვის ერთა თასი 2004

- 20 მარტი. კრასნოდარი
რუსეთი — რუმინეთი
20 მარტი. იბიცა
ისპანეთი — პორტუგალია

სარბიელი
საორტული გავითი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორგავათს,
სამგავათს, ოთხგავათს,
ხუთგავათს,
პარასგავს და შავათს

გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი ბიორბი ოძრომაძე
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუიაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერასე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი დარჯანიანი, გიორგი ვაშაყიძე, ლადო ხომერიკი, ვაკე ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაპლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლიჯაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოხალიძე
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, სათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დევალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
მასხავერის გამზირი 42, 11
კორპუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი — 79, საზოგადოებრივი
მთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbili.com.ge